საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 209 (737) ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 50 კუპონი

პირველი სვეტი

სოხუმის მიდამოებში ბრძოლები გრძელდება

22 სექტემბერს, დღის 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ პაპკორიას აცნობეს, რომ წუხელ სოხუმის მიდამოებში გრძელდებოდა პოზიციური ბრძოლები დაპირისპირებულ მხარეთა შორის. დღის დილიდანვე გუდაუთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიწყეს იერიში სოხუმზე სოფელ თავისუფლების მხრიდან, თავად ქალაქს კი მასირებულად უშენს ცეცხლს არტილერია. საქართველოს შეიარაღებული ძალები და ადგილობრივ მოლაშქრეთა რაზმები მამაცურად იგერიებენ მოწინააღმდეგეთა იერიშებს, არ აძლევენ მათ შესაძლებლობას, შევიდნენ ქალაქში. სოხუმიდან უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ არის იმის გამო, რომ 21 სექტემბრის 20 საათიდან შეწყდა საფრონტო ქალაქთან ჩვეულებრივი საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი. დივერსიულმა ჯგუფებმა დააზიანეს სარელეო კავშირის პუნქტი ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში და ამის გამო არ არის სატელეფონო კავშირი სოხუმთან.

გრძელდება საქართველოს ჯარების წარმატებული შეტევა ოჩამჩირის რაიონში, რომელშიც მთავრობის ჯარების ქვედანაყოფებთან ერთად, მონაწილეობენ პოლკოვნიკ ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები. ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა ბუტა გუგუჩიამ დღეს დილით საქართველოს რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოს მხარე კონტროლს უწევს ტამიშს, ახალ კინდღს, ცაგერას, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: ამ სოფლების ტერიტორიაზე გადის სოხუმ-ოჩამჩირის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი.

22 სექტემბერს აფხაზურმა საინფორმაციო სამსახურებმა და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ გადასცეს ცნობა, რომ აფხაზთა ფორმირებებმა, ფაქტობრივად, ბლოკადაში მოაქციეს სოხუმის აეროპორტის ტერიტორია, რომელმაც თითქოს შეწყვიტა ფუნქციონირება. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა კატეგორიულად უარყო აღნიშნული ცნობა და მას აფხაზური მხარის მორიგი დეზინფორმაცია უწოდა, სინამდვილეში აეროპორტი მოქმედებს და მიმდინარეობს ფრენა რესპუბლიკის სხვადასხვა მიმართულებით.

„არ დავუშვათ ომის ესკალაცია“

კიევი, 22 სექტემბერი. (უკრინფორმ-საქინფორმი). როგორც უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყებოდა, ლეონიდ კრავჩუკმა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის გაუგზავნა დეპეშა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. დეპეშა შეიცავს მოწოდებას აამოქმედონ ამ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული მთელი ძალები, რათა შეაჩერონ კონფლიქტის ესკალაცია. „მივმართავ ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლებსაც თუნდაც უმცირესი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საქართველოში მოვლენების განვითარებაზე, შეაჩერონ ძმათამკვლელობა, არ დაუშვან, რომ ომის ცეცხლმა კვლავ ვინმეს სიცოცხლე შეიწიროს“, — ნათქვამია დეპეშაში.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: ვისაც ოდნავ მაინც შეუძლია მოვლენათა ანალიზი, ის უნდა მიხვდეს, რომ აფხაზურ-ქართული კონფლიქტი ახლა უფრო მასშტაბურ კონფლიქტში გადაიზარდა. რაც თუ არ ჩაქრა, სულ მალე რუსეთსაც და მსოფლიოსაც გლობალურ კონფლიქტში ჩაითრევს. ეს არის ის, რაც არასდროს არ გათავდება, თუ სიყვარულმა და გონიერებამ არ შეაჩერა!..

„მდგომარეობა სოხუმში უმჯობესდება!“

მიუხედავად შექმნილი სიძნელეებისა, 22 სექტემბრის 14 საათისათვის, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე სპეციალური რადიოკავშირით ესაუბრა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა სოხუმში უმჯობესდება. გუშინ და დღეს ქალაქში შემოვიდნენ საკმაო ძალები, რომელთა შორის არიან უკვე ნაცადი მეომრები.

დღეისთვის დაგეგმილი იყო სეპარატისტთა გენერალური შეტევა სოხუმზე, მაგრამ მათი ყველა ცდა ჩაიფუშა. ნიშანდობლივია, რომ მოწინააღმდეგეთა რიგებში ძირითადად დაქირავებულნი იბრძვიან.

ჩვენმა მებრძოლებმა დაიბრუნეს სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე პოზიცია და ეს მაშინ, როცა მთავარი ძალები ბრძოლაში ჯერ კიდევ არ ჩაბმულან.

უკეთესი მდგომარეობაა ოჩამჩირის მხარეს. ჩვენი შეიარაღებული ძალები სულ უფრო აქტიურად მოიწევენ სოხუმისაკენ. ახლა ბრძოლები მიმდინარეობს სოფელ კინდღთან მდებარე მაღლობთან, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაზე რთული უბანია ოჩამჩირე-სოხუმის ტრასაზე.

იქ დღეს მხარდამხარ იბრძვიან და მალე სოხუმში ერთად შემოვლენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მე ამ მოვლენას დიდად ვაფასებ და დიდ პოლიტიკურ და ეროვნულ მნიშვნელობას ვანიჭებ. იმედი მაქვს, რომ როცა ისინი სოხუმში შემოვლენ, ჩვენ დავსხდებით, ვიმსჯელებთ და ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რაც საქართველოს კეთილდღეობისთვის იქნება აუცილებელი.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, ვინც მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, საკუთარი თავგანწირვის ფასად, ყველაფერს აკეთებს აქაური მოსახლეობისა და მეომრების მხარდასაჭერად, საბოლოო ანგარიშით კი საქართველოს გადასარჩენად.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო ჩვენი მეომრების გმირული შემართება საქართველოს ერთიანობისა და ღირსების გადასარჩენად. მიუხედავად უდიდესი გაჭირვებისა, ისინი თითქმის შიშველი ხელებით გმირობის ნამდვილ სასწაულებს ახდენენ, — თქვა საუბრის ბოლოს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

ედუარდ შევარდნაძე მხარს უჭერს ბორის ელცინს

— პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულება ეტაპობრივი კონსტიტუციური რეფორმისა და მისი განხორციელების შესახებ, უთუოდ ხელს შეუწყობს რუსეთში დემოკრატიის დაცვა-განვითარებას, რითაც უაღრესად არის დაინტერესებული ჩვენი ქვეყანა, ისე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი ყველა დანარჩენი სახელმწიფო, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ეს ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მისცა 22 სექტემბერს დილით სოხუმში, სადაც იგი ხელმძღვანელობს ქალაქის დაცვას, რომელსაც მოულოდნელად შეუტიეს გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებულმა ფორმირებებმა მას შემდეგ, რაც მან დაარღვია სოჭის შეთანხმება.

— უკვე არაერთხელ აღვნიშნე, — თქვა აგრეთვე ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ძალა, რომელთანაც საქმე გვაქვს აქ, სოხუმში, აფხაზეთში, მთელ საქართველოში, ელცინსაც, დემოკრატიულ რუსეთსაც უპირისპირდება. იგი მზად არის, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მასშტაბით გააფართოოს რეგიონში აფხაზური პლაცდარმი, და სწორედ ამიტომაც, რუსეთსა და მთელ მსოფლიოში კარგად უნდა შეიგნონ, რომ ჩვენ აქ, მარტო ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლეს, საქართველოს თავისუფლებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას როდი ვიცავთ.

ფოტო ნომერში

მიტინგი ბორის ელცინის მხარდასაჭერად

22 სექტემბერს რუსეთის თბილისის საელჩოს შენობასთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი პრეზიდენტ ბორის ელცინის მხარდასაჭერად. მიტინგის ინიციატორია ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მისმა მონაწილეებმა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის გადასცეს პეტიცია, მთელი რიგი განცხადებანი და წერილები, რომლებშიც სავსებით იწონებენ რუსეთის პრეზიდენტის მოქმედებას და მის პოლიტიკას.

როგორც აცნობეს ჩვენს კორესპონდენტს რუსეთის საელჩოში, ბორის ელცინს მხარი დაუჭირეს, კერძოდ, საქართველოს ხალხთა კონგრესმა, ორგანიზაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, რუსულმა მართლმადიდებელმა საზოგადოებამ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით — მისმა თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ირინა სარიშვილმა, სხვა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა.

●

Мы с Ельциным
Россия
Сильный президент сильная
Борьба против Шеварднадзе это борьба против Ельцина!
Демократи Россией

სურათზე: მიტინგის დროს.

ვ. შამანაძის ფოტო (საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკა).

შეგვინარჩუნეთ რწმენა, რომ დედამიწის ზურგზე სამართალი არსებობს!

დემოკრატიული სახელმწიფოების ლიდერებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს

მოგმართავთ, როგორც ჩემი სამშობლოს — საქართველოს რიგითი მოქალაქე და თუ წერილის დასასრულს, ხელმოწერისას ჩემს თანამდებობრივ მდგომარეობაზე მივუთითებ, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ წერილს შესაძლებისდაგვარად სახელმწიფო პირებმაც მიაქციონ ყურადღება.

მე არ ვაპირებ იმაზე საუბარს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო, ან ვინ და რა ძალები ებრძვის მას, ეს ცნობილია. არც იმის შეხსენებას ვაპირებ თქვენთვის, თუ რა პიროვნება უდგას დღეს საქართველოს სათავეში და რა დამსახურება აქვს მას ცივილიზებული სამყაროს წინაშე, ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ვერც უყურადღებობას გისაყვედურებთ ჩემი სამშობლოს მიმართ, პირიქით, შეიძლება საქართველოს სწორედ მისი მეთაურის წყალობით იმაზე გაცილებით მეტი წილი ერგო თქვენი ყურადღებისა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში მოხდებოდა. სხვა საქმეა, რომ ეს საკმარისი არ არის და ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენი უბედურების მიზეზი — რეაქციული, იმპერიალისტური რუსეთი ის სახელმწიფო არ გახლავთ, რომელსაც დიდად აშფოთებს მორალური პასუხისმგებლობა, თუ მას რეალური, ხელშესახები უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება.

ვერც იმას შემოგჩივლებთ, რომ მცირერიცხოვანი, მაგრამ უდიდესი კულტურის ერი რამდენიმე ხანში, XX საუკუნის დამლევს, შეიძლება შუასაუკუნეობრივ იმპერიალისტურ ზრახვებს შეეწიროს. არც ჩემი ქვეყანა, მით უმეტეს, არც ჩემი პიროვნება არც ისე მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომ ასეთ ჩივილს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ. ამის გაკეთების საშუალება მხოლოდ საქართველოს დღევანდელ მეთაურს აქვს და მან სწორედ ამ სიტყვებით მოგმართათ დახმარებისთვის.

ახლა კი მთავარი.

მე დავიბადე და აღვიზარდე საბჭოთა საქართველოში. ადრეული წლებიდანვე მომიხდა იმ საშინელების საკუთარ თავზე გამოცდა, რასაც ეროვნული, ადამიანური უფლებებისა და ღირებულებების სხვათა მიერ ფეხქვეშ გათელვა ანუ ტყვეობა ჰქვია. იმთავითვე ჩემთვის მიუღებელი იყო ის ყოფა, რომელშიც ჩემი სამშობლო და მისი მოქალაქეები არსებობდნენ. მით უფრო, როცა ვიცოდი, რომ სადღაც, დედამიწის საკმაოდ დიდ ნაწილში არსებობდა თავისუფლება, დემოკრატია, სახელმწიფოები და ხალხები, რომელთათვისაც ღვთის მიერ ბოძებული ეს ორი ცნება ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა. სწორედ ამ სამყაროს არსებობის იმედით და რწმენით იქმნებოდა და მოქმედების არეალს აფართოებდა ჩემს სამშობლოში და არა მხოლოდ ჩემს სამშობლოში არსებული დისიდენტურ-სამართალდამცავი თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები, რომლის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელიც თავად გახლდით. სწორედ ამ სამყაროს მხარდაჭერითა და თანადგომით თავისუფლებისმოყვარე ადამიანები ამაყად მიდიოდნენ და ილპობოდნენ საბჭოთა საპყრობილეებში. მხოლოდ თქვენ იყავით მათი დამცველი...

და ბოლოს, როგორც იქნა, ცივილიზებული სამყაროსა და ტყვეობაში მგმინავი თავისუფლებისმოყვარე ადამიანების უდიდესი ძალისხმევით დაინგრა საბჭოთა იმპერია და ჩვენც, პირველად, უკვე საკუთარ მიწაზე, დავინახეთ დიდი ხნის მივიწყებული თავისუფლება. რა თქმა უნდა, უამრავი შეცდომა ჩვენვე დავუშვით თავისუფლებას გადაჩვეულებმა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი მოუთმენლობით მიაწყდება პატიმართა მასა ოდნავ გამოღებული ციხის კარებს, შეიძლება ერთმანეთიც კი გადათელონ. ასეთი პატიმრების მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენც, ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბევრი შეცდომა ჩვენ თვითონვე დავუშვით, ბევრი რამ ვერ გავითვალისწინეთ. ამჯერადაც ჩვენი იმედი და საყრდენი კაცთმოყვარე, გამოცდილი დასავლეთი იყო, ის დასავლეთი, რომელმაც ბოლო მოუღო საბჭოთა იმპერიას და თავისუფლება მოუტანა დაპყრობილ ხალხებს. რამდენიმე ხანი სისხლისღვრებისა და უზარმაზარი სულიერი კატაკლიზმების ფონზე მიდიოდა თავისუფლებასთან, ნამდვილ დემოკრატიასთან შეჩვევა. როგორც იქნა, შევეჩვიეთ, დისიდენტური აზროვნება სახელმწიფოებრივით შევცვალეთ, რაღაც ვისწავლეთ, ცოტა ფეხზე წამოვდექით და სწორედ მაშინ იგრძნო რეაქციულმა რუსეთმა ყველაზე მწვავედ ყოფილი იმპერიის რეალურად დაკარგვის საშიშროება, გაძლიერდა და ფაქტობრივად შთანთქა რუსეთის ხელისუფლების სათავეში ფორმალურად მყოფი ძალები, რომლებსაც ჩვენ დემოკრატებს ვუწოდებთ.

დღეს არავისთვის დაფარული არ უნდა იყოს, რომ რუსეთში მომძლავრებული იმპერიალისტური ძალები ღია ომით ცდილობენ იმპერიის აღდგენას. ამას უკვე არანაირი მტკიცება აღარ სჭირდება. მე სხვა რამ მაწუხებს, იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მატერიალური სამყარო:

თუ ასე გაგრძელდა — ერთის მხრივ, იმპერიალისტების მიერ თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ბრძოლა, მეორეს მხრივ კი ცივილიზებული სამყაროს დუმილი ან უშედეგო განცხადებები და რეზოლუციები, მაშინ ხომ არაფერი შეიცვლება და ადრინდელზე უფრო საშინელი ცინიზმისა და ძალმომრეობის იმპერია შეიქმნება, თან დასავლეთის იმედის გარეშე. მაშინ ალბათ, ყველა ადამიანს დედამიწის ზურგზე, ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია აზროვნების უნარი, ერთი შემზარავი კითხვა გაუჩნდება ჩვენს — ყოფილი დისიდენტებისა და დასავლეთის მიმართ:

რატომ ანგრევდით ბოროტების იმპერიას, რატომ იბრძოდით ამხელა სისხლის ფასად თავისუფლებისათვის, თუ დღეს იმავე ბოროტების, იმავე მონობის აღდგენას და არსებობას უშვებთ?! მე პირადად მასზე პასუხი არ გამაჩნია. არც ჩემი სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც დღეს სიცოცხლეს სწირავს იმ პრინციპს, იმ რწმენას, რითაც იგი ცივილიზაციას ემსახურებოდა და ემსახურება ამჯერად უკვე საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად. რა პასუხი გავცე მე გაოგნებულ ადამიანს, რომელიც დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად მიცნობს იმაზე, რომ ცივილიზებული სამყარო XX საუკუნის დამლევს ტერიტორიების ბარბაროსული ომებით დაპყრობას უშვებს და ითმენს?! არც ამ შეკითხვაზე გამაჩნია პასუხი, რადგან ასეთი პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს. ასეთი პასუხი ვერც თქვენ გექნებათ.

ყოველივე ეს ემოციური ამოძახილია, ტკივილი და არა საყვედური — მე კიდევ არ მჯერა, რომ ცივილიზებული სამყარო ახალი ფორმის ბოროტების იმპერიას მიიღებს და შეეგუება, მაშინ დედამიწაზე აღარაფერი წმინდა აღარ ყოფილა! მე ღრმად მჯერა, რომ სულ მალე, და არა საბედისწერო დაგვიანებით, მთელი პროგრესული მსოფლიო წინ აღუდგება ამ არნახულ ბოროტებას (რა თქმა უნდა, რუსეთისთვის ომის გამოცხადებას არ ვგულისხმობ), მით უფრო, რომ ამის გაკეთება უზარმაზარი დასავლური სამყაროსათვის საქართველოსა და სხვა პატარა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ძალიან ადვილია, მით უფრო, რომ დასავლეთს ამ სალვთო საქმისათვის ჩემი სახელმწიფოს მეთაურისაგან განსხვავებით არანაირი საშიშროება არ ემუქრება.

ამაზე მეტის თქმა მე აღარ შემიძლია, როგორც რიგითი მოქალაქე სისხლში ჩაძირული საქართველოსი, როგორც მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გთხოვთ, გემუდარებით, გადაარჩინოთ საქართველო, ნუ დააყოვნებთ, რათა საქართველოსთან ერთად მისი დღევანდელი მეთაურიც გადარჩეს სიკვდილს, დაინდეთ ათიათასობით ჯარისკაცის სიცოცხლე. შეგვინარჩუნეთ რწმენა, რომ დედამიწის ზურგზე სამართალი არსებობს.

ირინა სარიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი.
1993 წლის 21 სექტემბერი.

ნომერში

◉ კარგად ავწონ-დავწონოთ: რომელია ხსნის გზა? 2
◉ მოსაზრებას გვიზიარებს ყოფილი დისიდენტი. 3

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!

უდიდესი სიამოვნებით შევიტყვე თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, კვლავ აიღოთ თქვენს თავზე საქართველოს რესპუბლიკის ლიდერის როლი. თქვენი პოლიტიკური სიბრძნე, რომელმაც ღირსეულად გადაგატანინათ აღნიშნული კრიზისი, მიუხედავად დღეს ქვეყანაში არსებული უდიდესი სიძნელეებისა, სიკეთეს უქადის საქართველოს. ის პატივისცემა, რომელიც თქვენ მოიხვეჭეთ როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ, განიჭებთ უნიკალურ შესაძლებლობას გადაჭრათ თქვენს ქვეყანაზე თავს დამტყდარი სირთულეები.

თქვენს მიერ განცხადებული პრიორიტეტები, რომელთა შორისაცაა მისწრაფება დემოკრატიისკენ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობისკენ, აღფრთოვანებისა და ჭეშმარიტი პატივისცემის ღირსია. დღეს საქართველოს წინაშე არსებული უდიდესი სიძნელეები უაღრესად ართულებენ ამ მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლას. მჯერა, თქვენი ხელმძღვანელობით საქართველო მიაღწევს იმას, რომ ხანგრძლივი ვადით უზრუნველყოფს თავის უშიშროებას და ამ მიზნისათვის ბრძოლას არ შესწირავს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის ინტერესებს.

გულწრფელად თქვენი

უორენ ქრისტოფერი,
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი.
16 სექტემბერი, 1993 წელი.

მის აღმატებულებას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

თქვენთვის მძიმე ჟამს, რეფერენდუმის წინ, ქართველი პარლამენტარები მხარს გიჭერდნენ და ამჯერადაც გიჭერენ მხარს და მთელ მსოფლიოს ატყობინებენ ამას. ჩვენი მხარდაჭერა თქვენთვის იღბლიანი გამოდგა. ამ გადამწყვეტ ჟამს, დროა მტკიცედ იმოქმედოთ. თქვენი კურსი, თქვენი პიროვნება საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. თქვენ დიდი რუსეთის ღირსეული პრეზიდენტი ბრძანდებით. გისურვებთ გამარჯვებასა და ჯანმრთელობას.

ვახტანგ გოგუაძე,
საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

განცხადება საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით

თავის შეხვედრაზე ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრებმა განაცხადეს შემდეგი:

„ჩვენ, ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრები ვგმობთ აფხაზური შეიარაღებული ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დარღვევას და გადაჭრით მოვითხოვთ, რომ შეწყდეს საბრძოლო მოქმედებები, აფხაზური ძალები დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებულ პოზიციებს, განხორციელდეს შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მივმართავთ ყველა ქვეყანას, გამოიყენოს თავისი გავლენა, რათა შეწყდეს ცეცხლი და განახლდეს სამშვიდობო პროცესი“.

20 სექტემბერი, 1993 წ.

შეხვედრა საქართველოს საელჩოში

საქართველოს მოსკოვის საელჩოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვალერიან ადვაძე შეხვდა საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩს პიერ მორელს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკურ მრჩეველს ჯუდიტ მენდელს, კანადის საელჩოს მრჩეველს პროფესორ პატრიკ არმსტრონგს, გერმანიის, იაპონიისა და იტალიის საელჩოების პირველ მდივნებს მიშაელ კანცლერს, ვატანაბესა და დიეგო უნგაროს, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენლებს.

ბატონმა ვალერიან ადვაძემ უცხოელ დიპლომატებს გააცნო აფხაზეთში შექმნილი ვითარება, ოპერატიული ცნობები, უამბო იმ დიდ მსხვერპლზე, ეკონომიკურ ზარალზე, რაც ამ უსამართლო ომს მოჰყვა. ელჩმა რუსეთის მხარე დაადანაშაულა იმაში, რომ არ იკეტება საზღვარი და ჩრდილოეთკავკასიელი მოხალისეები დაუბრკოლებლად ჩადიან აფხაზეთში. ბატონმა ვალერიან ადვაძემ ხაზი გაუსვა აგრეთვე რუსეთის დანაშაულებრივ ქმედებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან აფხაზ სეპარატისტებს, ფაქტობრივად, დაუტოვა მძიმე ტექნიკა, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა მათ.

21 სექტემბერს მოსკოვში, თეთრ სახლთან, დილის 11 საათზე ქართულმა სათვისტომომ პიკეტი მოაწყო.

ყველაფერი — შეიარაღებულ ძალებს

საქართველოს შეიარაღებული ჯარების აღჭურვისა და დახმარების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ორგანიზაციები, ბიზნესმენები, ბანკირები და მოქალაქეთა ჯგუფები აგროვებენ თანხებს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, ვიცე-პრემიერის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ამ თანხების სწორად და მიზნობრივად გამოყენებას. საკოორდინაციო ჯგუფი თხოვნით მიმართავს ყველას, ვინც სათავეში უდგას ამ მამულიშვილურ წამოწყებას, დაუკავშირდნენ მისამართზე: **თბილისი, ინგოროყვას ქუჩა, 7, მეხუთე სართული, ოთახი 531, ტელეფონები: 99-76-49, 99-06-07.**

გაცნობებთ აგრეთვე, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილია საქართველოს თავდაცვის ფონდის ანგარიში 000700409 მფო 52 1006, რომელზეც შეგიძლიათ გადმორიცხოთ თანხები.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

უკანასკნელ საათს

სეპარატისტებმა კიდევ ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს

22 სექტემბერს საღამოს აფხაზმა სეპარატისტებმა ახალი ბარბაროსული აქტი ჩაიდინეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს თენგიზ პაპკორიას აცნობეს, რომ დღეს საღამოს, 19 საათზე სოხუმის აეროპორტთან მათ ჩამოაგდეს თბილისის ავიარაზმის კუთვნილი ტუ-154 სამგზავრო თვითმფრინავი (საბორტო ნომერი 85164), რომელიც ასრულებდა თბილის-სოხუმის რეისს. ზღვაში მყოფი აფხაზთა სამხედრო კატარღიდან თვითმფრინავისაკენ გაუშვეს რაკეტა. მგზავრთა უმრავლესობა დაიღუპა, მსხვერპლთა რაოდენობა ზუსტდება. ხომალდის მეთაურმა გიორგი რაზმაძემ და ეკიპაჟის წევრებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს და ძლიერი დაზიანების მიუხედავად, შეძლეს თვითმფრინავი დაესვათ სოხუმის აეროპორტში. ამრიგად, მათ შეძლეს ეხსნათ 20 მგზავრის სიცოცხლე. თვითმფრინავში ჰუმანური ტვირთიც იყო.

საინფორმაციო ლენტიდან

შეიქმნა მინისტრთა კაბინეტის დროებითი ოპერატიული შტაბი

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კრიმინოგენური ვითარების ნორმალიზაციის, ქვეყნის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით და საგანგებო წესების გათვალისწინებით, მინისტრთა კაბინეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა კოორდინაციისა და მათი შესრულების კონტროლის მიზნით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დროებითი ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

დროებითი შტაბი თავის საქმიანობას წარმართავს რესპუბლიკაში საგანგებო წესების შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შექმნილ დროებით კომიტეტთან ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა (ოთახი № 925, ტელეფონი: ქალაქის — 99-50-20; 93-31-68; მთავრობის ავტომატური სატელეფონო სადგურის 74-74; 77-21).

●

ევროთათბირი მოითხოვს

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჩიქვაიძეს საქართველოს ევროთათბირის მისიამ გადასცა შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 18 სექტემბრის ნოტა გავრცელდა ევროთათბირის მონაწილე ყველა ქვეყანაში. ამა წლის 21 და 23 დეკემბერს პრაღაში მიმდინარე მაღალი თანამდებობის პირთა შეხვედრაზე საქართველოში შექმნილი სიტუაცია განსაკუთრებული ყურადღების საგანი იქნება. ევროთათბირის თავმჯდომარე სასწრაფოდ მოითხოვს, რომ რუსეთის მთავრობამ გამოიყენოს თავისი გავლენა ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო პროცესის განახლებაში.

●

ასამბლეა მხარს უჭერს

„რეგიონული უშიშროებისა და თანამშრომლობის" სემინარის მონაწილეები, რომელიც 16-18 სექტემბერს მიმდინარეობდა სტამბოლში, ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის ეგიდით, გამოხატავენ თავიანთ უდიდეს შეშფოთებას საქართველოში სიტუაციის გამწვავების გამო, რაც მოჰყვა ქალაქ სოხუმზე სეპარატისტთა თავდასხმას... შექმნილი სიტუაცია საფრთხეს უქმნის არა მარტო თვით საქართველოს უშიშროებას, არამედ კავკასიაში და, საერთოდ, შავი ზღვის აუზის რეგიონში სტაბილურობასაც.

სემინარის მონაწილეთა სახელით გამოგზავნილ ამ წერილს ხელს აწერს ჩრდილოატლანტიკური ასოციაციის პრეზიდენტი ლუის ვიუვარი.

●

სისხლი — მეომრებისთვის

აფხაზეთში იღუპებიან და მძიმე ჭრილობებს იღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი მეომრები. ტელევიზიამ მოსახლეობას აცნობა, რომ ჩვენს ასეთი ძნელბედობის ჟამს დაჭრილებისთვის სისხლის გაღებაა საჭირო.

პირველები ამ ცნობას საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკები გამოეხმაურნენ. 22 სექტემბერს სამინისტროს სააქტო დარბაზში სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგურის მუშაკები ძლივს უთავდებოდნენ საქმეს. პირდაპირ დარბაზის სცენაზე ოთხი საწოლი გაემართათ. სისხლი გაიღეს სამინისტროს აპარატის მუშაკებმა, მომარაგების სამმართველოს, ცენტრალური ტელეგრაფის, საქალაქთაშორისო სადგურის, ქალაქის სატელეფონო ქსელის, სამშენებლო ორგანიზაციების, რადიო-სატელევიზიო კომუნიკაციის, რესპუბლიკური რადიოცენტრის მუშაკებმა...

●

შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი

როგორც საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, 21 სექტემბერს, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თავს დაესხნენ ორ სამხედრო პირს და გაიტაცეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ქალაქის სისხლის სამართლის სამძებროს კვალიფიციური მუშაკების, ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი, რომლებიც საქმის განსაკუთრებული ხასიათის გამო, მხოლოდ ამ გამოძიებით იქნებიან დაკავებული.

გულიკო მარკოზაშვილი.

საინფორმაციო ლენტიდან

კარგად აწონ-დაწონოთ

რომელია ხსნის გზა?

ის, რაც დღეს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, საქართველოს სჭირს, სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა გონიერმა ადამიანებმა რამდენიმე წლის წინათ იწინასწარმეტყველეს და თავიანთი მოსაზრებები, რომელთაც მაშინ ყური არავინ ათხოვა, პრესის ფურცლებზედაც გამოაქვეყნეს.

იქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რესპუბლიკათა კონგლომერატი, საბჭოთა კავშირად რომ იწოდებოდა, ამ უკანასკნელთა მარტოოდენ პოლიტიკურ ერთობას არ წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა ეს გახლდათ სასიცოცხლო ძარღვებით ერთიმეორეზე მჭიდროდ გადაბმული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომლის თითოეული ნაწილი სხვებისაგან დამოუკიდებელ, ცალკე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სხეულად არ მოიაზრებოდა.

სამოცდაათი წლის განმავლობაში იმპერიის მესვეურებმა იზრუნეს იმაზე, რათა ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყნის ეკონომიკური და ამაზე დაფუძნებული პოლიტიკური ერთიანობა განუსაზღვრელი დროით შეენარჩუნებინათ და გამონახეს კიდევაც გზები ამ მიზნის მისაღწევად.

მათ ისე მოაწყეს საქმე, ისე განალაგეს საწარმოო ნედლეულის წყაროები, წარმოება და ბაზარი, რომ ქვეყნის არც ერთ რეგიონს, მით უფრო ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკას, მეორე რესპუბლიკის, ანდა რესპუბლიკების მთელი ჯგუფის გარეშე არსებობა და ცხოვრება არ შეეძლო.

უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება მრეწველობის სხვადასხვა დარგს, რომლის წარმოების ციკლი იმთავითვე საკავშირო მნიშვნელობის ციკლად გადაიქცა.

იმპერიის მესვეურები ყურით მოთრეული პოლიტიკოსები როდი იყვნენ. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ამით „ერთა მძლე კავშირი ძმური", მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სადავეები ხელთ ეპყრათ და რესპუბლიკების ცენტრიდანული ძალების ყოველი ამოძრავება, კიდევაც რომ ყოფილიყო ის შესაძლებელი, წინასწარვე ჩასაფუშად იყო განწირული.

რატომ? იმიტომ, რომ რომელიმე მათგანის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, კავშირიდან გასვლის მცდელობა წარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი წარმოების ადგილობრივი ციკლის შექმნის, ანუ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების გარეშე. სანამ ესა თუ ის რესპუბლიკა არ მოიპოვებდა ნედლეულის საკუთარ წყაროებს, სანამ წარმოების ციკლი მთლიანად ეროვნული არ გახდებოდა და შინაური და საგარეო ბაზარიც არ უზრუნველყოფდა ამ ეროვნული პროდუქციის გასაღებას, მანამდე ქვეყნის ეკონომიკურ, მით უფრო პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი სხვა არა იქნებოდა რა, თუ არა დემაგოგია და წყლის ნაყვა.

მოხდა ისე, რომ ისტორიაზე ძალდატანებით შექმნილმა „ერთა მძლე კავშირმა ძმურმა" შიგნიდან დაიწყო დაშლა, თუმცა ერთი წლით ადრე ამაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. ეროვნულ თავისუფლებას დანატრებულმა რესპუბლიკებმა, რომელთაც რუსების მოსვლამდე საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ, განზე გაიწიეს და დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისე აღიდგინეს, რომ მის ეკონომიკურ საფუძველზე არც კი დაფიქრებულან. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, თვით მოძრაობამ გზადაგზა რომ დაბადა, ჰაერში თავისუფლების დროშას აფრიალებდნენ და ხალხს, როგორც პანაცეისაკენ, ძველი კომუნისტური წესწყობილების ნგრევისა და რუსეთისაგან ჩამოშორებისაკენ მოუწოდებდნენ.

ყოველივე ამან ყველაზე უფრო გამოკვეთილი და თვალშისაცემი სახე საქართველოში მიიღო. მოძრაობის სათავეებთან აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც არც ეკონომიკისა, არც პოლიტიკისა, არც სამხედრო საქმისა და, ბოლოს და ბოლოს, არც ისტორიისა არაფერი გაეგებოდათ. მათ იგონათ, ან ხალხს წინასწარ განზრახულად არწმუნებდნენ, რომ კომუნისტური წესწყობილების ნაშთების ბატონობას ქვეყანა თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდა, თუ კომუნისტების ნაცვლად ხელისუფლების სათავეში ისინი მოვიდოდნენ. ამიტომაც ესა თუ ის დასი თუ ლიდერი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო მეტ ხალხს შეკრებდა მიტინგებზე, ვინ უფრო ალაპარაკებდა მასას ცეცხლოვანი გამოთქმებით, ვინ უფრო მეტ გაფიცვებს მოაწყობდა წარმოება-დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, ვინ უფრო მეტ ხალხს მოაცდენდა და სხვაზე მეტ მქუხარე ტაშს მიიღებდა.

ამ დროს ხორბლის შესანახი ელევატორები ჯერ კიდევ პირამდე სავსე იყო წინა ხელისუფლების მიერ შემოტანილი ხორბლეულით, მაცივრები ხორცით და კარაქით, ფაბრიკა-ქარხნების საწყობები რესპუბლიკის გარედან შემოზიდული ნედლეულით და თავისი მზა ნაწარმით, ხოლო საწვავის ავზები აგრეთვე გარედან შემოტანილი იაფი საწვავით, ახლა რომ ენერგიაშემცვლელებს იძახიან.

ვიდრე დღედაღამ მიტინგები მიმდინარეობდა, ქუჩაში გამორეკილი მოსწავლე ახალგაზრდობა სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლოს გაიძახოდა და გადიდკაცებული მდაბიონი სავარძლებს ინაწილებდნენ, რესპუბლიკის საარსებო საშუალებები დაილია, არარეალური ფასების გამო დიდ-დიდ პარტიებად გადიოდა მეზობელ რესპუბლიკებში, ნედლეულის უქონლობის გამო მრეწველობა თანდათან გაჩერდა, ჩაკვდა ერთადერთი დარგი ეროვნული წარმოებისა — სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა ბევრი სხვა რამეც, რის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, და ქვეყანაც, ამგვარად, სრული დეპრესიისა და გაჩანაგების გზას დაადგა.

ეს უბედურება მეტ-ნაკლებად ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას შეეხო, გარდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა, რომლებმაც თავიანთი კომპეტენტურობის წყალობით საქმეს მალე აუღეს ალღო და გარდაუვალ ეკონომიკურ კრიზისს დამცველი ჯებირები დაახვედრეს. ამან მათ საშუალება მისცა საკუთარი ძალებით დაეძლიათ ყველა სიძნელე, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე ხვდებოდათ. სხვები, მათ შორის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი, შექმნის პირველი დღეებიდანვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები გახდნენ.

რა გამოუცდელი და საქმისაგან შორს მყოფიც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა, ამ ფაქტს მაინც უნდა დაეფიქრებინა და ახალ ჩამოყალიბებულ თანამეგობრობასთან დამოკიდებულების საკითხი გონების სასწორზე აეწონ-დაეწონა.

რა არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, მემკვიდრე ხალხთა საპყრობილე საბჭოთა კავშირისა, უნიტარული სახელმწიფოსი, კომუნისტური იმპერიისა, რომლის შიშითაც მთელი პლანეტა თრთოდა?

არა, ის არ არის საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, სახეშეცვლილი კომუნისტური იმპერია და ასეთი არც შეიძლება იყოს, რადგანაც მასში ნებაყოფლობით შესული დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან გაერთიანებულნი და მათ ერთმანეთთან მხოლოდ და მარტოოდენ საერთო ეკონომიკური ინტერესები აკავშირებთ!

ხალხებმა, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, რომელთაც ამიერიდან ვეღარავინ დაიმონებს და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ხელს ვერავინ აალებინებს, გადაწყვიტეს, აღადგინონ თავიანთი ეკონომიკური კავშირები, განამტკიცონ თავიანთი ეკონომიკური თავისთავადობა, დადგნენ ფეხზე, შეინარჩუნონ ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა და გამოვიდნენ ამ კავშირიდან, როდესაც ამას თავიანთვის სასარგებლოდ ჩათვლიან.

ახლა ამ საკითხზე პრესაში მსჯელობა ძლიერ საშიშია. ნაფიცი პატრიოტები, რომლებიც როგორც პარლამენტის მიკროფონებიდან, ისე ტელევიზიის ეკრანიდან შხამს ანთხევენ, სამშობლოსათვის მართლაც თავდადებულთ მამულიშვილობას ასწავლიან და ადამიანებს მათი აზრისაგან განსხვავებული აზრის გამოთქმას უკრძალავენ, მოღალატეებად და მამულის გამყიდველად უთვლიან, ვინ იცის, რას არ დაგაბრალებენ, რას არ მოგაწერენ და ბოლოს თავსაც მოიწონებენ, მე კი ჩემი სიტყვის პატრონი ვარ, პრინციპულობაში ვინ შემედრება, ხომ ხედავთ, არავითარი მანევრირება აზრადაც არ მებადება.

მე სწორედ პირიქით ვფიქრობ. მანევრირება, ისიც საკუთარი ერისა და ქვეყნის გადასარჩენად ერთადერთ გონივრულ ქმედებად მიმაჩნია, მით უფრო მაშინ, როცა ამით არაფერს კარგავ, პირიქით, იძენ!

გუშინ ერთი პარტიის ხელმძღვანელმა ტელეეკრანზე სიტყვების კორიანტელი დააყენა. ამისა და ამას თურმე კომპრომისი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შეყვანა განუზრახავს და ახლავე ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ, პრინციპულები, დაფურთხებულს რომ არ ავლოკავთ, ამის წინააღმდეგი ვართ და ნურავის გაუკვირდება, თუ ბოლოს ხელსაც გამოვიღებთ.

საკითხავია, ვინ არ არის „ამის წინააღმდეგი"? ვის არ უნდა და დღედაღამ არ ოცნებობს იმაზე, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მშვიდობიანად იცხოვროს, დაუკავშირდეს კულტურულ მსოფლიოს, ჩაებას ცივილიზებულ ხალხთა ფერხულში, გაშალოს ფრთები და პლანეტის ერთი დაწინაურებული ქვეყანა გახდეს? დამისახელეთ, ქართველთა და მათ კეთილის მსურველთა შორის ვინ არის ამის წინააღმდეგი? მოიპოვება კი ქვეყნად ისეთი ქართველი, ვისაც მშობელი ქვეყნის კეთილდღეობა არა სურს და არც ერთ თანამეგობრობაში მისი შესვლა არ ეპრიანება?

მაგრამ როგორ, როცა ქვეყანაში გამოუვალი კრიზისია, როცა კარიერაზე შეშლილი ექსტრემისტები კუთხეს კუთხეზე უჯანყებს ცენტრალურ ხელისუფლებას, როცა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის მოთმინების ფიალა ავსებულია, როცა შინ ბავშვები გვიტირიან და თავადაც მშიერ-მწყურვალთ ხელისდადება პურის ნატეხსა გვთხოვენ, როცა საკუთარ უბეში ნალოლიავებმა აფხაზებმა კაცური სიტყვა გატეხეს და ძმათამკვლელი ომი ხელაღმა გაგვიჩაღეს, როცა საიმედოდ არც შიდა ქართლში და ქვეყნის სხვა რეგიონებში გვაქვს საქმე, როცა სახელმწიფოს მეთაური, უკიდურესი გაჭირვების ჟამს ერთადერთი იმედი ერისა, ბრძოლის ველზეა და ერთმა ღმერთმა იცის, მუხანათის ტყვია როდის მისწვდება!

განგვიდგა რუსეთი, ერთმხრივად უარი განაცხადა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე, განგვიდგა მსოფლიო, მხოლოდ სიტყვიერად თანაგვიგრძნობენ და შევარდნაძის საქციელს უწონებენ, ყოჩაღ, თქვენო აღმატებულებავ, ასე რომ წირავ სიცოცხლეს ქვეყნისა და ხალხისთვის.

ყოველი კაცი, ვისაც საქართველოში მეტ-ნაკლებად მოეკითხება, ერთადერთ საჭირბოროტო საფიქრალს მისცემია: რით ვუშველოთ საშინელ განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას, ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, რით ვიხსნათ ერის მონოლითურობა, რით, რით, რით?

როცა არაფერზე პასუხს არ აგებ, ადვილია ენა აწიკვინო და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაიწუნო სხვისი პოზიტიური აზრი. მაგრამ რას ფიქრობ თვით შენ? რაში ხედავ ქვეყნის ხსნას? უარმყოფელს თავი ყოველთვის ქუდში აქვს, თუ ვინიცობაა, ურემი გადაბრუნდა, იტყვის, მე ხომ ვამბობდიო. მაგრამ ნამდვილი მამულიშვილი, მე მგონია, მაინც ის არის, ვინც გზებს ეძებს, ნამდვილად და არა ვისთვისმე თავის მოსაწონებლად ეძებს ქვეყნის ხსნის გზებს და იმის უნარიც შესწევს, ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად თქვას თავისი ნაფიქრალი. იქნებ ის ნაფიქრალი ქვეყანას არ გამოადგეს და უმოკლეს დროში, თუკი გვაცალა ამ დრომ, რომელიც წყალს მტრის წისქვილზე უშვებს, რაიმე უკეთესი გამოიძებნოს, მაგრამ აზრის პატიოსანი გაზიარებით მაინც არაფერი დაშავდება, მას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია!

ქვიშაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის, პოპულიზმის, ფუქსიტყვაობის, ყელყელაობის, უბირ მსჯელობათა გაბრიყვების დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს სამშობლო მომაკვდინებელ განსაცდელშია, განსაცდელშია ჩვენი ეროვნული თავისუფლება და ერსა და ბერს მისი მხსნელი გზის გამოძებნა გვმართებს!

რევაზ ჯაფარიძე.

21. 09. 1993 წ.

მსოფლიოს თვალწინ

საქართველო თუ დაიღუპა...

22 სექტემბერს ქართველ ქალთა მშვიდობიანი აქციის მონაწილენი — 7 ათასი მანდილოსანი — თბილისიდან სოხუმს გაემგზავრნენ

საქართველოში ფემინისტურმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა. რატომ? ამ კითხვას ამომწურავად ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა უპასუხონ. ჩვენ კი მხოლოდ ერთი მხრიდან გვინდა შევხედოთ საკითხს — სჭირდებოდა კი მამაკაცთან თანასწორობისათვის ბრძოლა ქალს, რომელიც მთელი სიცოცხლე სუსტი სხეულით ქალის და მამაკაცის ტვირთს თანაბრად ეზიდებოდა.

იჯდა ეს ქალი მთელი სიცოცხლე ოჯახში და ცდილობდა ლადარი არ ჩაქრობოდა კერიაზე. მაგრამ დგებოდა ჟამი და ქალი დედაკაცად გადაიქცეოდა — კერიას ზურგს აქცევდა, კარს გამოიხურავდა და საქმიანობის არსს იცვლიდა.

ფემინისტურმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა, ვთქვით, ჩანს, არც ყოფილა საჭირო. დადგა თუ არა ჟამი, მან თავის თავზე იმაზე მეტი იტვირთა, ვერავითარი მოძრაობის ჩარჩოები რომ ვერ დაიტევდა.

საქართველოს ქალების ორი-სამი დღისწინანდელი აქციის დაწყებამ აღძრა ის, ბოლომდე გულწრფელნი რომ ვიყოთ, არაერთგვაროვანი ფიქრები. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების", ის ქვეცნობიერში საკმაო ხნით იდებს ბინას. ამიტომ ჩვენი ბრალი არ არის, რომ მთავრობის სასახლის წინ მონღოლთა იურტებივით დაცემული კარვებისა და მათ ბინადართა მწარე ასოციაცია დღემდე ცოცხალია და როგორც კი ქალი ხმას ამოიღებს, გინდა-არ გინდა იმ კარვის აჩრდილი გაიელვებს. ქართველი ქალისთვის, რომელიც თავის ფუნქციით, უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველთვის იყო დედა, ცოლი, მეოჯახე, კარვის ქალზე უფრო მწარე და შეურაცხმყოფელი პარალელი რა უნდა იყოს (ამ სტრიქონებსაც ქალები წერენ), მაგრამ რას იზამთ, დღეს ამაზე ლაპარაკის დრო არ არის.

კარვის ქალი არ არის ქართველი ქალის აჩრდილი, ამაოდ დაადიდნეს. წინა ხელისუფლებამ ბევრი მწარე მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მათ შორის, თავის ნეკნიდან გამოძერწილი კარვის ქალიც, რომელიც თავის მხრივ, ასევე მსხვერპლია — სუსტი ადამიანი იოლად უპოვეს, აქილევსის ქუსლი მოუნახეს და იმად აქციეს, კინაღამ საშვილიშვილოდ რომ შეაძულეს ზოგადად მამაკაცს ქალი.

ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში.

ეჭვი ისეთი უგვანი ბუნების არის, იოლად იბადება, გვიან კვდება. თუ ერთი დაისვა კითხვის ნიშანი, უამრავი პასუხი მოჰყვება თან და მათ შორის ჭეშმარიტის გამორჩევას დრო და ფიქრი სჭირდება. ეჭვი კარგა ხანს შეიძლება გაჰყვეს თვით ყველაზე ჯანსაღ და სასიცოცხლოდ აუცილებელ იდეას. აბრეშუმის კარვების ცნებაც მოიხმო მავანმა, ისევ რას იზამთ! მძიმე დროს ვცხოვრობთ. ალბათ ამის ერთგვარი გამოძახილიც არის ის, რომ ზემოთ ნახსენები აქციის მონაწილეები ხაზგასმით ამბობენ — ეს არ არის პოლიტიკური აქცია, პოლიტიკასთან არაფერი გვესაქმება. ეს მშვიდობიანი მსვლელობაა, ეს ქალების, დედების საქციელია, სიცოცხლესთან თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ აქვთ, განსაკუთრებული იმიტომ, რომ ის არის სიცოცხლის დედა ზოგადად. მამაკაცები მამულის დასაცავად მიდიან, ქალები — სიცოცხლის გადასარჩენად. მუდმივი გლოვა და ძაძები არ უნდათ, ცოცხალი შვილები უნდათ. ამიტომ მიდიან. მანდილის ჩასაგდებად დაძრულან? მანდილს ხომ რაინდებს შორის აგდებდნენ.

მაშ რისთვის? ისევ და ისევ სიცოცხლისათვის, თავისი ნაშობი სიცოცხლის გადასარჩენად თუნდაც საკუთარის ფასად.

აქ ერთი მომენტიც არის ხაზგასასმელი — ერისათვის განსაკუთრებული ძნელბედობის ჟამს ყოველმა უნდა აიღოს თავის თავზე განსაკუთრებული წილი ტვირთისა.

სიმბოლურია, რომ ჩვენთან ქალებმა იდეს თავს ეს. ამასთან, როდესაც მოძრაობის სათავეში ვხედავთ ქეთი დოლიძეს, ნინო ჯავახიშვილს, მანანა გიგინეიშვილს, ნაირა გელაშვილს, გურანდა გაბუნიას, იზა ორჯონიკიძეს, ნინო კიღურაძეს, ნათელი ხდება, რომ ეს მხოლოდ ქალთა მოძრაობა არ არის. ამავდროულად ეს ინტელიგენციის ხმა არის.

ქეთი დოლიძე: ამ ბოლოს სოხუმიდან მოსული ინფორმაციები მეტისმეტად მძიმეა. მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილება არ შეგვიცვლია. აქცია ერთადერთ მიზანს ისახავს — როგორმე მივიპყროთ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. რა ფორმითაც შეძლებენ, მოგვეხმარონ — რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შეჩერდეს სისხლისღვრა აფხაზეთში. აი ჩვენი მისია ძალზე მოკლედ.

ერთ შეკრებაზე ჩვენმა ქალებმა მსოფლიოს ქალებს მიმართეს მრავალტანჯული საქართველოს ქალების სახელით. რადგან გვჯერა თქვენთვის ყველაზე მახლობელი და გასაგები იქნება ჩვენი ტკივილი, დედების ტკივილი, გვჯერა გვითანაგრძნობთო. მეოცე საუკუნის ბოლოს ჩვენ შვილებთან ერთად მთელი კაცობრიობის თვალწინ იღუპება საქართველო, რომელმაც აქამდე მოიტანა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, ენა, კულტურა და სთხოვეს მათ, მხოლოდ ქართველი ქალის კი არა, საქართველოში მცხოვრები ყველა ქალის სახელით, ხმა აიმაღლონ, რაიმე იღონონ.

— ის, რომ ომში შვილები გვეღუპებიან, ჩვენი ტკივილია, ჩვენი გადასატანია და სხვას თანაგრძნობის მეტი რა შეუძლია, — ამბობს ქალბატონი **ნინო კილურაძე**, საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულოს წარმომადგენელი, — მაგრამ, გვიხსნას განგებამ. და საქართველო თუ გაიწირა, მასთან ერთად განადგურდება კულტურის მრავალსაუკუნოვანი უნიკალური ძეგლები, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება მსოფლიო ცივილიზაციისთვის. ეს უკვე მხოლოდ ჩვენი საქმე აღარ არის. პროფესიით არქეოლოგი ვარ, მთელი სიცოცხლე ამ საქმის შევალიე, ამიტომ მტკივა განსაკუთრებით ესეც.

არჩევანი აღარ არის. მივდივართ, მოსახდენი მოხდეს. ქართველ ქალს ბევრჯერ აუღია თავის სუსტ მხრებზე იმაზე მეტი ტვირთი, ვიდრე შეეძლო, ერთხელაც უნდა ვცადოთ...

ნინო ჭანიშვილი, საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის" პრეზიდენტი: 27 ივლისიდან 16 სექტემბრამდე საკმაო დრო იყო იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩარეულიყვნენ აფხაზეთის კონფლიქტში დაწყებული მშვიდობიანი პროცესების განმტკიცებისათვის. მყიფე მშვიდობას გარანტიები სჭირდებოდა. საქართველომ არაერთხელ უხმო მათ საშველად. თუმცაღა ჩვენ თხოვნას პასუხად საქმიანი თანადგომა არ მოჰყოლია. ამიტომ ახლა გადავწყვიტეთ მივმართოთ უკიდურეს ღონისძიებას — თვალნათლივ დავანახოთ ქვეყნიერებას, რომ მივდივართ სიკვდილის შესახვედრად. ამასთან მივდივართ გაეროს პაციფისტური სიმბოლოთი. რაც უცნაურად სიმბოლურია.

მარკესს უთქვამს როგორღაც — ხალხური ფენომენია ქალი. მამაკაცი სულ ცდილობს ქვეყანა გადააბრუნოს, ქალი კი სულ სიმშვიდის შენარჩუნებას და კაცის წახდენილის გამოსწორებას ცდილობსო. თუ შეფასება მაქსიმალისტურია, ჩვენი ბრალი როდია — კაცს ეკუთვნის; თუ რეალურია — მადლობა ავტორს და ხვეწნა უფალს — კეთილი თვალით გადმოხედოს ჩვენი ქალების მცდელობისათვის, წაღმა მოატრიალოს მკაცრი სინამდვილის თუ უგულო პოლიტიკოსების უკუღმა ნამოქმედარი.

ქართველ ქალს ქალობა არასოდეს დაჰკლებია — ქალობაც უწევდა ერთდროულად და კაცობაც. დედაც იყო და კაციც. ისიც ჩვენი ბედია, ჩვენი ბედია ის სხვაობაც, რაც ქალის — კლავდია შოშას კარის მიჯახუნებასა და დედაკაცის — ჩვენი, სიცოცხლის გადასარჩენად მიმავალი ქალების, კარის გამოხურვას შორის არის; ჩვენი ბედია და, როგორც მძიმე ჯვარი, ძნელად თუ იოლად, ბოლომდე უნდა ვზიდოთ ის.

გალინა ხარებაშვილი,
ზაირა ჩომახაშვილი.

მსოფლიო პრესა საქართველოს შესახებ



SEPARATISTS FIRING ... GEORGIAN CITY

Schewardnadse gibt nicht auf

WIEN KURIER

Der Doppelbesteuerung droht eine Verfassungsklage

Die neue Kreditsteuer trifft auch Bausparer und Konto-Überzieher

Beamte begehren mehr

POLITIK

„Wir werden uns nicht ergeben!"

Schewardnadse gibt nicht auf

მსოფლიოს საზოგადოებრიობა თვალს ადევნებს საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას. ამ დღეებში მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ ედუარდ შევარდნაძის მიმართვას მისი სამშობლოს მეგობრებისადმი.

ორივე ხელში ხმალი ეჭირა — იტყვის ჩვენზე მემატიანე

ცალ ხელში ხმალი ეჭირა, და მეორეში გუთანი — ასეთი ბედი დაჰყვა ქართველს, მძიმე ბედი. ის მცირე შესვენებაც, — რაა ისტორიისთვის 70 წელი, — ლამის საბედისწერო აღმოჩნდა, ის ყალბი სიმშვიდე არ გვეპატია, თავსმოხვეული, მაგრამ მაინც თავის წაზრის... ორმაგად ვიხდით — კიდევ უფრო დაგვიმძიმდა ისედაც მძიმე ჯვარი...

ცალ ხელში ხმალი ეჭირა და მეორეში გუთანიო, — ჩვენ წინაპარზე ამბობდნენ. ორივე ხელში ხმალი ეჭირა, ორ ომში ერთდროულად იბრძოდა, იბრძოდა მამულისათვის (ალბათ, ამას ჰქვია სამამულო ომი) და ებრძოდნენ ერთმანეთს (ალბათ, ამას ჰქვია სამოქალაქო ომი), — იტყვის, ალბათ, დღევანდელობაზე მემატიანე და ერთად მოიხსენიებს ჩვენს თავგანწირვას მამულისათვის და ჩვენს ურთიერთქიშპს, ერთად მოჰყვება ქვეყნის საზღვრებთან ჩვენი საარაკო ვაჟკაცობისა და ასეთივე სიმუხთლის ამბავს ქვეყნის შიგნით. — არ არსებობს ქვეყნად ერთდროულად ისეთი ვაჟკაცი და რენეგატი, როგორც ქართველი, მერამდენედ დასტურდება გრიგოლ რობაქიძისეული ქართველის ერთ-ერთი შეფასებაც.

დაილალა საქართველო იმის მოლოდინში, თუ რას იზამენ კობალიას შეიარაღებული რაზმები, მოხსნიან პოზიციებს გურიაში, სამეგრელოში და წავლენ აფხაზეთში თუ დაგვპირდებიან და ეს პირობა ხანმოკლე აღმოჩნდება, თუ იტყვიან და ეს სიტყვა სიტყვა იქნება...

მე კი ვგრძნობ, რომ სიხარულად (ისიც შიშნარევად) ისიც მყოფნის, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ გულს მომიკლავდა. კერძოდ კი...

ფოთი: მდგომარეობა არ შეცვლილა. ქალაქი გამაგრებულია, საჯარისო ფორმირებები იცავენ ზურგის ქალაქს. ჯერჯერობით სიმშვიდეა, — გვითხრა ქალაქ ფოთის მერიის პრესმდივანმა კუკური ესაკიამ.

მადლი უფალს, — გავივლე გულში.

ლანჩხუთი: ერთი საათია, ქალაქის კომენდანტთან, ზვიად აბაშიძესთან ერთად, ფოთიდან დავბრუნდით, — გვითხრა კომენდანტის მოადგილემ მერაბ კვანტალიანმა. დღეს მეომრები კიდევ გავაცილეთ აფხაზეთში.

ამ წუთისათვის ლანჩხუთში სიმშვიდეა (ერთი კვირის წინანდელთან შედარებით), ხალხმა გაბედა ქუჩაში გამოსვლა. კობალიას რაზმების ძირითადი ნაწილი გაემგზავრა აფხაზეთში, დარჩა მცირე ნაწილი, რომელიც აკონტროლებს გზას ჯაპანასთან. ბუნებრივია, ჩვენც იძულებულნი ვართ, დავიცვათ ქალაქი. ამიტომ ჩვენი მებრძოლების გარკვეული რაოდენობა ქალაქში დარჩა. საქმე უკეთ მაშინ იქნებოდა, ორივე მხარე სრული შემადგენლობით აფხაზეთში რომ ვიყოთ, — თქვა ბატონმა მერაბმა.

რას იზამ, ჩვენდა სავალალოდ, არ არსებობს ნდობის მანდატი...

ჩოხატაური: ქალაქში სიმშვიდეა. კობალიას შეიარაღებული რაზმის ნაწილი, რომელიც სოსო ჟღენტის მეთაურობით ჩოხატაურში იდგა, აფხაზეთში გაემგზავრა. დარჩა მცირე ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ქალაქს; ქალაქს ჩვენც ვაკონტროლებთ, — მითხრა ჩოხატაურის მერიის თანამშრომელმა ზურაბ შათირიშვილმა.

ისევ არ არსებობს ნდობის მანდატი!

ასეთი იყო მდგომარეობა 22 სექტემბერს, 18 საათისათვის, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა...

რა იქნება ხვალ?

ხვალ არ ვიცი, მაგრამ გუშინ კი, გუშინ 21 სექტემბერი იყო, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის შობის დღე.

გუშინ 21 სექტემბერი იყო. რუსეთში საპრეზიდენტო მმართველობა გამოცხადდა და ეს ალბათ მაინც მცირეა იმ დიდთან შედარებით, რაც ამით რეალურად იწყება.

მე პირადად, ამ პარალელებს შორის ღვთიურ სიმეტრიას ვხედავ. (სხვათა შორის, არა პირველად) და არ მინდა, რომ შევცდე. ეს მერამდენედ გვაფრთხილებს განგება. ბოლომდე ვერ გვწირავს. თუმცა, იქნება ვიმსახურებთ კიდეც, მაინც შანსს გვიტოვებს, ღმერთმა ინებოს, ჩვენთვის წმინდა დღის დაწყებული ამბები, თუნდაც რუსეთში, ის შანსი აღმოჩნდეს, გორდის კვანძის გამოხსნას რომ დაიწყებს...

ზაირა ჩომახაშვილი.

„მაცნესთან" თანამშრომლობით

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოთარ ფაცაციას

ჟურნალისტთა ეს ჩვენი შეკრება მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ეხებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ უკვე დაიწყო პრესის გავრცელების კამპანია და ეს მოვლენა ჩვენი მკითხველების ცხოვრებაში არცთუ ისე სახარბიელოდ მიმდინარეობს. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა შევკრებილიყავით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში და სამსჯელოდ გაგვეხადა ეს საჭირბოროტო საქმე.

ერთი სიტყვით, ამ ბოლო დროს უაღრესად გართულდა პრესის გავრცელება საქართველოს რესპუბლიკაში. ყოველივე ეს კი მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთრებით უჭირს იმ უძველესი ტრადიციის გაზეთებს, რომლებზეც მკითხველებს უდიდესი მოთხოვნილება აქვთ. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია რესპუბლიკის მთავრობის ჩარევა ამ მეტად საჭირო საქმის მოგვარებაში. ცხადია, არის სხვადასხვა მოსაზრება პრესის გავრცელების სააგენტოს (ყოფილი „სოიუზპეჩატის", ახლა კი „მაცნეს") სამომავლო საქმიანობის, მისი ორგანიზაციის თაობაზე. ჩვენ, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, მათს კოლექტივებს საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ეს ორგანიზაცია („მაცნე") აუცილებლად დარჩეს სახელმწიფო სტრუქტურაში და მხოლოდ მასთან ჩავთვლით მიზანშეწონილად ჩვენს შემდგომ თანამშრომლობას, იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია პრესის გამოშვებასა და გავრცელებასთან.

გ. ბოჭიაშვილი — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი, **ა. სილაგაძე** — გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი, **შ. ბაიბურთი** — გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორი, **ს. სულეიმანოვი** — გაზეთ „გურჯისტანის" მთავარი რედაქტორი, **გ. ჩუბაშვილი** — გაზეთ „თბილისის" მთავარი რედაქტორი, **ვ. ანასტასიადი** — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორი, **ო. იოსელიანი** — გაზეთ „სოფლის ცხოვრების" მთავარი რედაქტორი, **ვ. ხარჩილავა** — ჟურნალ „კრიტიკის" მთავარი რედაქტორი, **ზ. კალანდია** — ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 23 სექტემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	7,840.20	კუპონი
ავსტრიული შილინგი	1,064.69	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	18,468.07	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	3,502.00	კუპონი
გერმანული მარკა	7,489.61	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	6,667.25	კუპონი
დანიური კრონი	1,833.80	კუპონი
100 იტალიური ლირა	774.10	კუპონი
კანადური დოლარი	9,121.65	კუპონი
ნორვეგიული კრონი	1,718.56	კუპონი
აშშ დოლარი	12,047.00	კუპონი
ფინური მარკა	2,083.57	კუპონი
ფრანგული ფრანკი	2,146.48	კუპონი
შვედური კრონი	1,498.08	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	8,597.67	კუპონი
10 იაპონური იენი	1,144.12	კუპონი
ეკიუ	14,232.32	კუპონი
10 ესპანური პესეტა	937.48	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	520.49	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	17,429.54	კუპონი
ისლანდიური კრონი	174.19	კუპონი
კუვეიტური დინარი	40,358.50	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	69.89	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	732.01	კუპონი
სინგაპურული დოლარი	7,553.91	კუპონი
10 თურქული ლირა	10.12	კუპონი
ს.დ.რ.	17,132.32	კუპონი
100 რუსული მანეთი	1140.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	2,715.02	კუპონი
ლატვიური ლატი	18,836.33	კუპონი
ესტონური კრონი	917.81	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	741.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

აჭარის ჟურნალისტთა ყრილობა

განვლილი სამი წლის მუშაობის შესახებ დელეგატთა წინაშე ანგარიშით წარსდგა აჭარის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

ყრილობამ ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც უნდა გადაჭრან საინფორმაციო საშუალებებმა. ორატორებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს „პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების" კანონის პროექტზე.

აჭარის ჟურნალისტთა კავშირის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე.

ყრილობამ აჭარის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია გაზეთ „აჭარის" რედაქტორი ალექსანდრე სამსონია.

მიხეილ გორგილაძე.

ა. ჩიქვაიძისა და ვ. ზემსკის საუბარი

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ზემსკი. საუბრის დროს ელჩმა მინისტრის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ბოლო დროს თბილისში გახშირდა რუს სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმები.

ა. ჩიქვაიძემ თქვა, რომ გმობს რუსი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის აქტებს.

როდემდე?!

1993 წლის 14 სექტემბერს, ჩვენი რესპუბლიკის მრავალი მაცხოვრებელი შეესწრო პარლამენტში მიმდინარე პოლიტიკურ დებატებს. როცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას დეპუტატმა ჯაბა იოსელიანმა საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა, იგი ისეთი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, რომ შეცბუნებულმა დატოვა ტრიბუნა (ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ექსპრეზიდენტის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად მიიჩნევდა განსხვავებული აზრისადმი მწვავე ალერგიას, ამჟამად სხვა ფორმით თუ იგივე განმეორდება, ეს მხოლოდ გაართულებს ქვეყნის სვლას ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ).

იმავე დღის პარლამენტის შენობის წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. ამ მიტინგის მონაწილეთა აღგზნებასა და ანტიმხედრიონული ხასიათის მიცემაში დიდი როლი შეასრულეს გამოსულმა ორატორებმა.

ახლა კი უფრო სერიოზულად: საინტერესოა, როდის მოეღება ბოლო „მხედრიონის" აბუჩად აგდებას და ყველა ცოდვაში მის დადანაშაულებას? ნუთუ პარლამენტში წარმოთქმული ერთი, თუნდაც მოუზომავი სიტყვა საკმარისი გახდა, რომ ერისთვის გაწეული მისი ღვაწლი და შრომა ქარისთვის გაგვეტანებინა?

მეტად გულსატკენი იყო ის არაჯანსაღი ყიჟინა, რომლითაც შეხვდნენ მიტინგის მონაწილენი ბრძოლებიდან დროებით დაბრუნებულ ახალგაზრდა მეომარს მხოლოდ იმისთვის, რომ ის მხედრიონელი გახლდათ. თითქმის იგივე ამბავი დაატეხეს რესპუბლიკის განათლების მინისტრს, რომელმაც სინდისზე შეაგდო მის წინ გამოსული ორატორები, მუქი ფერები რომ არ დაიშურეს მხედრიონელთათვის.

დარწმუნებული ვარ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ამ მიტინგის თვითოეული მონაწილე, როცა მეორე დღის ქუთაისიდან გადმოცემულ ტელერეპორტაჟს ნახავდა და შეიტყობდა, რომ ბატონი ჯაბა იოსელიანი თავისი ნაწილებით სასწრაფოდ მიემგზავრებოდა სოხუმისაკენ, სადაც საქართველოს ბედი წყდება და რეალურ საფრთხეშია ამ ქალაქის [illegible] მცხოვრების და [illegible].

პოზიცია

[illegible]

ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს დაებადება კითხვა: რით არის განპირობებული ჩვენი საზოგადოების ნაწილის აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება ამ ორგანიზაციის მიმართ? ჩემი აზრით, ამაში დიდი როლი შეასრულა წინა ხელისუფლების დროს მიმდინარე აღვირახსნილმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ. რა ქნას, რა მოიმოქმედოს „მხედრიონმა", რომ საქართველოს მოსახლეობამ ირწმუნოს მისი და თუ ჯეროვნად არ დაუფასებს ღვაწლს, გულს მაინც ნუ მოუკლავს დაუმსახურებელი, გაუთავებელი სამდურავებით?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სინდისს რას ვუზამთ — „მხედრიონი" ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე ყოველთვის იქ იყო, სადაც ქართულ საქმეს უჭირდა. ამ ბრძოლებში იგი ყოველთვის გამოირჩეოდა უანგარო თავდადებითა და ვაჟკაცური შემართებით. თითქმის ყოველ სამხედრო დავალებას, რომელსაც მას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აკისრებდა, პირნათლად ასრულებდა, თუნდაც დიდი დანაკარგების ფასად. მსხვერპლი კი მართლაც მძიმეა — 470 ახალგაზრდა, ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები. შეიძლება ვინმემ პატრიოტიზმი ჩამომართვას, მაგრამ რას ვუპასუხებთ ამდენი დაღუპულის მშობლებს, ახლობლებს და მეგობრებს, რატომ ვუხდით ასეთი შავი უმადურობით სამაგიეროს.

ზოგიერთი სკეპტიკოსი თავის უნდობლობას მხედრიონელთა მიმართ იმით ხსნის, რომ მათ შორის მრავლადაა არიან ნასამართლევი პირები. როგორ მოიქცეს „მხედრიონის" ხელმძღვანელობა, ხელი უხსნა ამათგან ყოფილ თვითოეული წევრის სულში და წარსულში რაიმე გადაცდომის აღმოჩენისას ხელი ჰკრას, გააძევოს და ახალი დანაშაულისათვის განაწყოს ისინი? 200-მილიონიანმა რუსეთმა, თავის დროზე, არათუ ნასამართლევი ხალხი, არამედ პატიმრები გაიყვანა ციხეებიდან და სამამულო ომის გადამწყვეტ ფრონტებზე მათი მეშვეობით მიაღწია გამარჯვებას. ნუთუ პატარა საქართველოს ჰქონდა ამ მიზეზით დასაკარგავი შვილები?

მე მგონი, მხედრიონის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მათ ბევრი დაუმსახურებელი გულისტკივილი და შეურაცხყოფა მოუთმენიათ და მაინც ხელი არ ჩაუქნევიათ, სამშობლოს ინტერესები არასოდეს უღალატებიათ პირადი წყენისა და გულისტკივილისთვის.

დროა ჩვენი საზოგადოების დამსახურებულმა, ავტორიტეტულმა წევრებმა ხმა ამოიღონ და საინფორმაციო საშუალებებით საზოგადოებას გააცნონ „მხედრიონი", როგორც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სამხედრო პატრიოტული ორგანიზაცია, რომელიც მეტად საჭირო საქმეს აკეთებს და, იმედია, მომავალშიც გააკეთებს.

ჯემალ ნოზაძე.

ინტერვიუ მხოლოდ ჩვენი გაზეთისათვის

უწინარეს ყოვლისა — მაღალი ზნეობა

ამ საუბრის წინადღეს ერთმანეთს ყოფილ მეფის ნაცვლის სასახლესთან, მერე — დროებითი მთავრობის, მერე — პიონერთა, ახლა — მოსწავლეთა სასახლის ზალის კიდესთან შევხვდით.

ადგილი — ყოფილი.

ბოლოდროინდელი კატაკლიზმების ეპიცენტრის — სასახლეთა რიგის შუაგული: ბაზალტის კიბეები, რკინის ღობეს გაყოლებული ქვაფენილი ზოლი ტროტუარის.

ადგილი — ანტისიმბოლო. კეთილმოწყობის ეპიცენტრის მკრალი ამონათხევი — „მხარდამჭერი მიტინგების" კლიაკად ქცეული. დროთა ქარებმა გაანიავა ზალის კიდე. თუმცა ბაზალტის ფილათა შორის ის ძველი სიბინძურე ისევ დევს, როგორც ფანატიზმის რეციდივი ზოგიერთის ტვინის ხვეულებში.

სამწუხაროდ...

კარგა ხანია ერთმანეთს ვუტრიალებდით ხანმოკლე შეხვედრების ორბიტაზე. თანდათან დავიწროვდა რკალები და ცენტრისკენული ძალების ლოგიკამ სერიოზული საუბრის აუცილებლობამდე მოგვიყვანა.

ნუგზარ კობერიძე პარლამენტის იმ წევრთა შორისაა, ვინც მშვიდია და აუღელვებელი (გარეგნულად მაინც), მაშინაც კი, როცა ზოგიერთი მიკროფონთან ექსცენტრიკულ ნომრებს ასრულებს.

უფრო უსმენს და ფიქრობს.

— არაფერი აქვს სათქმელი ხელისუფლების უწინარეს საფეხურზე მყოფ ყოფილ დისიდენტს? — ვეკითხები რედაქციაში მოსულს.

ჩაიცინა... და დაიწყო ის მონოლოგი, რომლის წაკითხვადაც გიწვევთ დღეს და ხვალ:

• • •

როცა ქვეყანაში ანარქიაა, რომელსაც მხოლოდ დიქტატურა შეიძლება მოჰყვეს, — თქვა ნუგზარ კობერიძემ, — დემოკრატიზმის თამაში, ან დემოკრატიზმის იდეის გაშარჟება აუცილებლად გამოაფხიზლებს ხალხს და სწორ გზაზე დააყენებს.

საოცარია: არის ტყუილი, რომელიც გინდა დაიჯერო და გჯერა; არის სიმართლე, რომლის დაჯერება არ გინდა და არ იჯერებ.

ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი გამოცდილებით უნდა დარწმუნდეს ზოგიერთ ჭეშმარიტებაში, რომელთა შესახებ ლაპარაკს, მით უმეტეს, ჩვენს მდგომარეობაში, ყურსაც არ ათხოვებს.

ჩვენ ვცხოვრობდით აბსოლუტური ექსპერიმენტის მდგომარეობაში. არანორმალურ ყოფაში.

ასეთ დროს ცარიელ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, ადამიანები არ აღიქვამენ.

მაგალითად, ჩვენთან ბევრს და ზოგადად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა დავამკვიდროთ დასავლური ეკონომიკური მოდელები, მაგრამ არაფერს — ამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კადრის, გამოცდილების შესახებ, რაც ჩვენ არა გვაქვს.

ჩვენ დღესაც ექსპერიმენტის მდგომარეობაში ვართ: ხელებში შევყურებთ იმ რუსეთს, რომლისგანაც გამოყოფა გვინდა, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური დამოუკიდებლობა გვსურს.

არადა, ჩვენ ერთიანი ორგანიზმი ვართ, თანაც არა მარტო ეკონომიკური. რადგან ჩვენ იმ სისტემის პროდუქტი ვართ, რომელსაც ვებრძვით. ტრაგედია ისაა, რომ ძველებურად ცხოვრება არ გვინდა და ახლებურად ცხოვრება კი არ შეგვიძლია. ასეთ დროს რეცეპტების ფრქვევა პარლამენტის სხდომაზე, პრესაში თუ ტელევიზორის ეკრანიდან უზნეობად მიმაჩნია.

ეს პირველი პასუხი კითხვაზე, თუ რატომაა ჩუმად. და ამის შემდეგ ნუგზარ კობერიძე, ყოფილი დისიდენტი, თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამჟამად ჩვენს ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხისადმი, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქვია. იგი, ბევრისგან განსხვავებით, არ იბრალებს ქვეყანა მე გავათავისუფლეო. მაგრამ, მოდით, თვით მას მოუსმინეთ. პირველივე წინადადება ყურადღებით წაიკითხეთ, დაიხსომეთ, რადგან მერე, საუბრის ბოლოსკენ ამ საკითხს ისევ მივუბრუნდებით. აქ კი — მხოლოდ ერთი წინადადება, მაგრამ — პრინციპული:

— ჩვენ გავათავისუფლეთ (თუ, უფრო სწორად, გაგვათავისუფლეს) უზნეო ქვეყანა. 70 წლის მანძილზე ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ ადამიანებისთვის უზნეობა ყოფილიყო არსებობის ერთადერთი საშუალება: რაც უფრო მეტად იტყოდა კაცი უარს ზნეობრივ ნორმებზე, მით უფრო იუმჯობესებდა არსებობის პირობებს.

ახლა კი გვინდა, რომ ზნეობრივი ხალხი მართავდეს ქვეყანას! მაგრამ ჩვენ დღეს რომ არა ვართ საზოგადოება, რომელსაც ქმნის იურიდიულად და ეკონომიკურად თავისუფალ ადამიანთა ერთობა? თუ ერს ეს თავისუფლებანი არა აქვს, საზოგადოებაც ვერ შეიქმნება. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მართავს ყველა ცივილიზებულ ქვეყანას (არა პიროვნებები, არამედ — საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ის პიროვნებები ცხოვრებაში გაატარებენ). მეტიც ჩვენ ერთმანეთსაც არ ვიცნობთ. ვისაც ვიცნობთ, ისინი ძველი, კომუნისტური სტრუქტურების მიერ არიან დამკვიდრებული (მათთან არავითარი მტრობა არა მაქვს, პირიქით, ბევრი ნათესავია, ბევრი მეგობარი, ახლობელია) და ყველა თავის დროზე ერთი პრინციპით წარმოჩნდა და დამკვიდრდა; ხელისუფლების კურსის მხარდაჭერის პრინციპის მეშვეობით.

მათ კი, ვინც თავისი ნიჭიერებით, პატიოსნებით, ღირსებით სხვათაგან გამოირჩეოდა, მაგრამ არსებულ სტრუქტურებთან არ თანამშრომლობდა, ჩვენ არ ვიცნობთ.

რა სირთულეები მოსდევს ამას?

ნიკოლო მაკიაველის აზრით ადამიანები სამ კატეგორიად იყოფიან: ერთნი, რომლებიც თვითონ ხვდებიან ყველაფერს; მეორენი, — აუხსნი და გაიგებენ; მესამეს, აუხსენი რამდენიც გინდა, ვერ გაიგებს, ან არ გაიგებს.

ქვეყანაც ამ მესამესავითაა, როგორც დიდხანს ბნელში მჯდომი ადამიანის ერთბაშად სინათლეზე გაყვანა არ შეიძლება (შესაძლებელია, დაბრმავდეს), ასევე დაუშვებელია დამონებული ქვეყნის ერთბაშად თავის ნებაზე მიშვება.

ვფიქრობთ, რომ ამითაც გამცა პასუხი, თუმცა არ უთქვამს: ამგვარ სიტუაციაში, რაკი მაინც ვერავის შეასმენს სათქმელს, ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. იქვე გაიმეორებს ჩემს შეკითხვას როგორც საკლასო დავალების თემას — „რატომ ვარ პარლამენტში და რატომ ვარ ჩუმად" და უკვე პირდაპირ იტყვის:

— ჩუმად იქ არა ვარ, სადაც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ანუ საპარლამენტო კომისიაში. იქ მართლაც ბევრი რამ წყდება.

დღეს ხალხს პარლამენტი ცენტრალური კომიტეტი ჰგონია (ძველი ინერცია დღესაც მუშაობს) — მოდიან სათხოვარით და გასაჭირით. პარლამენტი კი კანონშემოქმედების საკითხებზე უნდა მუშაობდეს.

რეალურად კი, აი, რა ხდება: გამოდიან პარლამენტარები შესანიშნავი იდეებით, წინადადებებით (მართლა ისე კი არ არის, რომ ყველა სისულელეს ლაპარაკობდეს). მაგრამ მეორე დღეს სხვა, ახალ წინადადებას აყენებს იგივე კაცი. თანაც არ კითხულობს, წინა დღით მის მიერვე ნათქვამის რეალიზება ვის დაევალა, შესრულდა თუ არა, ან იქნებ საჭიროც არ იყო?... და იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც აინტერესებს. ეს უფრო თვითდამკვიდრების ცდასა ჰგავს და თავის თავის გამოჩენას ემსახურება მხოლოდ.

ესეც მეორე, ახალი ქვეტექსტით ნათქვამი პასუხი: მიკროფონთან არ დგება იმიტომ, რომ ამ უსაგნო ლაპარაკიანობაში არ სურს მონაწილეობის მიღება. იცვლება თემა. ახლა — „კერძო საკუთრება და ჩვენ".

— უმძიმესი ფაქტორი ჩვენი პრობლემებისა არის კერძო საკუთრების არარსებობა. ხომ ცნობილია, რომ კერძო საკუთრება ადამიანს პიროვნებად აქცევს. ესაა ცივილიზაციის ყველაზე დიდი მონაპოვარი.

ჩვენთან კი, რაკი კერძო საკუთრება არ არსებობს, ადამიანთა დიდი უმრავლესობა ხელისუფლებას შეჩერებია, რომელმაც უნდა მისცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენის საშუალება. რომელზეც დამოკიდებულია შენი და შენი ოჯახის კეთილდღეობა. სხვაგვარად, — მან უნდა მოგვცეს სახელმწიფო სამსახური.

მოდით, ახლა ვთქვათ, — შეუძლია თუ არა რომელიმე ხელისუფლებას მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მოსახლეობა სახელმწიფო სამსახურით? ცხადია, არა.

მაშასადამე, იმ პირობებში, როდესაც არ არის კერძო საკუთრება, ისინი, ვისაც სახელმწიფო სამსახურს ვერ მისცემს ხელისუფლება, დარჩება უკმაყოფილო და ოპოზიციას მიემხრობა. ვისაც მისცემს, ის ხელისუფლების მხარეზეა.

ამიტომ იყო, რომ კომუნისტურ ხელისუფლებას მაქსიმალურად ხმას აძლევდნენ, მის მომდევნო ხელისუფლებასაც, დღევანდელსაც და იმასაც, ვინც ხვალ მოვა, მისცემენ ხმას. მაგრამ საკმარისი იქნება ექვსი თვე და ამ უკანასკნელის წინააღმდეგაც შეიქმნება ოპოზიცია.

ასეთია ლოგიკა, რომელიც გვიკარნახებს, რომ საქართველო ვერ ასცდება კონფრონტაციას, შეტაკებებს, კატაკლიზმებს, თუ საკანონმდებლო აქტებით, კრედიტებით, ყველა საშუალებით ხელი არ შევუწყეთ კერძო სექტორის მოძლიერებას.

კერძო მესაკუთრეს მხოლოდ კანონთან აქვს საქმე, რომელიც მას იცავს და სულ არ აინტერესებს, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი...

[illegible] საუბარი ნუგზარ კობერიძეს, ნათელია, სხვათაც უთქვამთ იგივე. მაგრამ იმათგან განსხვავებით ჩვენი მოსაუბრე საქმის კაცია და განყენებული მსჯელობის დონეზე არ რჩება: ხუთი წლის წინათ იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირს (სხვათა შორის, პირველ ორგანიზაციას, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება რომ თავს იდო), რომელმაც შექმნა 200-მდე კოოპერატივი, ფირმა, კონცერნი, საინგილოს საქველმოქმედო ორგანიზაცია „მერცხი", 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი და ა. შ.

ეს კავშირი გათვლილი იყო როგორც საცდელი ლაბორატორია დასავლური ეკონომიკური მოდელების ჩვენზე მორგების პრაქტიკულად შესასწავლად. რათა ქვეყანა კიდევ ერთხელ არ აღმოჩენილიყო მორიგი, გლობალური ექსპერიმენტის მდგომარეობაში. მოკლედ, კერძო თუ არა, არასახელმწიფოებრივი საკუთრების უმტკივნეულოდ დანერგვის პრაქტიკული გზების საძიებლად იყო გათვალისწინებული. მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსები, რეფორმებს პრაქტიკულად ვერ განახორციელებენ, რადგან ახალ პირობებში კონკრეტული საქმე არ წამოუწყიათ, მაშასადამე არც რაიმე გამოცდილება აქვთ.

და აქვე იწყებს მომდევნო თემას — „ეკონომიკა და ერის კონსოლიდაცია".

— ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ კონსოლიდაციაზე, მაგრამ ვის შორის? უსაქმურსა და საქმიან კაცს შორის კონსოლიდაცია არ მოხდება. ჩვენს ორგანიზაციაში ადამიანები სერიოზულ და სოლიდურ საქმიან კავშირში იმყოფებიან. ესაა ჭეშმარიტი კონსოლიდაცია. ამიტომ მის გასაფართოებლად, ჩემი წინადადებით, კოოპერატორთა, მშენებელთა, მეწარმეთა, არენდატორთა კავშირები გაერთიანდნენ საქართველოს არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციათა სათათბიროში, რომელსაც შემდგომ ბიზნესცენტრის ფუნქციაც დაეკისრა. მასშტაბი სერიოზულია — ნახევარი მილიონი ადამიანია დასაქმებული ამ სექტორში, ოჯახებიანად — მილიონამდე, და ჩემი აზრით, სწორედ ესაა ის ფენა, რომელმაც ეკონომიკის აღორძინებასთან ერთად, უნდა გადაარჩინოს ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა, განავრცოს მეცენატური მოძრაობა, პრაქტიკულად შეუწყოს ხელი სოციალური საკითხების გადაწყვეტას.

არმაზ სანებლიძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

სურათზე: ნუგზარ კობერიძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

---

[*] ბატონი ნუგზარ კობერიძე ამჟამად ქართველ პარლამენტართა ჯგუფთან ერთად გერმანიაში იმყოფება.

დიდი მხარდაჭერა

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის გადაწყვეტილებას, დაითხოვოს რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და უზენაესი საბჭო, დანიშნოს მიმდინარე წლის 11-12 დეკემბერს ახალი საკანონმდებლო ორგანოს ფედერალური კრების არჩევნები, მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების და საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერით აღინიშნა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის ბორის ელცინის გადაწყვეტილებას, რომელმაც უფლება მისცა ხალხს, თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, რომ იგი ტელეფონით ესაუბრა ბორის ელცინს ამ გადაწყვეტილების მიღებამდე.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალენსას განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი სრულ ნდობას უცხადებს რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს. იმედს გამოთქვამს, რომ ქვეყანა კეთილად მოაწესრიგებს თავის საშინაო პრობლემებს, რომ რუსეთში პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთში რეფორმების პოლიტიკის წარმატებას, რომ რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება გზას უხსნის ახალ დემოკრატიულ არჩევნებს, რომელიც შესაძლებლობას შექმნის გამოიძებნოს კრიზისიდან გამოსავალი.

რუსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ბორის ელცინისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ და მისი მოვალეობის შესრულება დაავალა ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე რუცკოის, რომელმაც ფიცი დადო. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მხოლოდ პარლამენტის მიერ პრეზიდენტის გადაყენებას.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთმა ფსოუზე საზღვარი გადაკეტა

მოსკოვიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქში მოწყობილია მილიციის გაძლიერებული პიკეტები, შეაცრად ამოწმებენ მოქალაქეებს, მოსახლეობა ძირითადად, მხარს უჭერს ბ. ელცინს. ქალაქში სიწყნარეა, აქა-იქ იმართება პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა არაორგანიზებული მიტინგები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ლიდერებმა თავიანთ შეხვედრაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ბ. ელცინს და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. იგივე წყაროს მიხედვით, ხალხისადმი პრეზიდენტ ბ. ელცინის მიმართვის შემდეგ რუსეთის სახალხო დეპუტატთა უმრავლესობას გამოურთავს ტელეფონები. ხასბულატოვის, რუცკოის და მათი მომხრე დეპუტატების მიმართვაზე, რუსეთის შეიარაღებული ძალებისადმი აღიკვეთოთ სახელმწიფო გადატრიალება, სამხედროებმა განაცხადეს, რომ ისინი არ ჩაერევიან შინაპოლიტიკურ ბატალიებში და შეინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს. **დასტურდება, რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთმა გადაკეტა საზღვარი საქართველოსთან მდინარე ფსოუზე. რამაც გამოიწვია აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების უკმაყოფილება.**

დაუგეგმავი გადაადგილება არ ხდება

მოსკოვის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე სამხედრო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო ტექნიკის არავითარი გეგმის გარეშე გადაადგილებანი არ ხდება. ჯარები ეწევიან საგეგმო სწავლებასა და საბრძოლო მომზადებას. ეს გუშინ იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა ოლქის სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ანატოლი ბურცევმა. ამ მომზადების ერთ-ერთი ელემენტი გახლდებათ საგეგმო საპოლკო ტაქტიკური წვრთნა, რომელსაც მოსკოვის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები აწარმოებენ ნიჟნი ნოვგოროდთან მდებარე პოლიგონზე. წვრთნას უხელმძღვანელებენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი მიხეილ კოლესნიკოვი და თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ანდრეი კოკოშინი.

უკრაინის პრეზიდენტი მოუწოდებს

კიევი, 22 სექტემბერი. (უკრინფორმ-საქინფორმი). საქართველოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა დეპეშა გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს. მოგმართავთ პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ, როგორც პრეზიდენტს სახელმწიფოსი, რომელიც 27 ივლისის დაზავების შესახებ სამმხრივი შეთანხმების გარანტია, და მოგიწოდებთ ყველაფერი იღონოთ, რათა ამოქმედდეს შეთანხმების მექანიზმი სისხლისღვრისა და ძმათამკვლელი ომის შესაწყვეტად, ახალ მსხვერპლთა თავიდან აცილების მიზნით. ხაზს უსვამს ლეონიდ კრავჩუკი.

მინისტრი გადადგა

რუსეთის ფედერაციის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრმა სერგეი გლაზიევმა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს მიმართა თხოვნით გადადგომის შესახებ. მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს ამ პოსტზე მუშაობის დროს ნდობისა და მხარდაჭერისათვის. მიუხედავად ამისა, გადადგომის საბაბი, სერგეი გლაზიევის განცხადების თანახმად, გახდა ბორის ელცინის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება „რუსეთის ფედერაციაში ეტაპობრივი კონსტიტუციური რეფორმის შესახებ". წინადღის სერგეი გლაზიევი არ დასწრებია რუსეთის მთავრობის სხდომას.

108 პროცენტს პირველ წელს და 338 პროცენტს მეორე წელს ვალუტაში გთავაზობთ საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტ ინტერნეიშნლ"-ი იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ვისაც გსურთ თქვენი კაპიტალი 3 თვიდან 2 წლის ვადით ჩადოთ საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტ ინტერნეიშნლ"-ის კომერციულ ოპერაციაში, რომელშიც გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის შემოტანა რესპუბლიკაში. თქვენი კაპიტალი აღმავალი პროგრესიით გაიზრდება.

		შემ. თანხა		დანამატი			ხელზე
1	თვე	100	—	თანხების	აკუმულირება		
2	თვე	100	+	2	%	=	102
3	თვე	102	+	3	%	=	105
4	თვე	105	+	4	%	=	109
5	თვე	109	+	5	%	=	114
6	თვე	114	+	6	%	=	121
7	თვე	121	+	7	%	=	129
8	თვე	129	+	8	%	=	139
9	თვე	139	+	9	%	=	152
10	თვე	152	+	10	%	=	167
11	თვე	167	+	11	%	=	185
12	თვე	185	+	12	%	=	208
13	თვე	208	+	1	%	=	210
14	თვე	210	+	2	%	=	214
15	თვე	214	+	3	%	=	220
16	თვე	220	+	4	%	=	229
17	თვე	229	+	5	%	=	240
18	თვე	240	+	6	%	=	254
19	თვე	254	+	7	%	=	272
20	თვე	272	+	8	%	=	294
21	თვე	294	+	9	%	=	320
22	თვე	320	+	10	%	=	352
23	თვე	352	+	11	%	=	391
24	თვე	391	+	12	%	=	438

ეს გარანტირებული მოგებაა!!!

კლიენტებს შეუძლიათ თავისი მოგების მიღება ყოველ კვარტალურად ან ნებისმიერი კვარტალის ბოლოს მიიღოს თავისი ფული და მოგება ერთად.

კლიენტებს შეუძლიათ მოგების მიღება საკვები პროდუქტებითაც (გასაყიდი ფასით).

მიიღება ვალუტა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშითაც.

მიიღება ასევე სამანეთო და სავალუტო სახსრები „ახლო" და „შორეული" საზღვარგარეთიდანაც.

მინიმალური შესატანი თანხაა 100 დოლარი, ნაკლები თანხები შეიძლება გაერთიანდეს პულებში (1 პული — 100 დოლარი).

1992 წლის ვალდებულებები კომპანიამ თავისი კლიენტების წინაშე შეასრულა. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ კომპანიაში.

ჩვენი კომპანია შეტანილია ინგლისურ საერთაშორისო რეესტრში „სტერლინგ პაბლიშენ გრუპ პი-ელ-სი", რომელიც ატარებს მარკეტინგულ გამოკვლევებს, მსხვილი კომპანიების, კონცერნებისა და კორპორაციების პრეზენტაციებს მთელ მსოფლიოში. ასევე უშვებს ჟურნალ „გლობალ მარკეტინგ"-ს (მსოფლიო მარკეტინგი), რომელიც განკუთვნილია მსოფლიოს მსხვილი ბიზნესმენებისათვის.

ნოემბერში ჩატარდება ჩვენი კომპანიის პრეზენტაცია ლონდონში. ჟურნალ „გლობალ მარკეტინგ"-ის ამავე თვის ნომერში იქნება წარმოდგენილი ჩვენი კომპანიაც. ამ ნომერს შეგეძლებათ გაეცნოთ ჩვენს ოფისში.

საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტ ინტერნეშნლ"-ი თქვენი სერიოზული, სოლიდური, საიმედო და ხელსაყრელი პარტნიორია.

ჩვენი რეკვიზიტებია: ამერიკული დოლარებისათვის — ა/ა № 07000801 საქართველოს სამეფო ბანკი მფო 521794
გერმანული მარკებისათვის — ა/ა № 07000802 საქართველოს სამეფო ბანკი მფო 521794

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. № 24/89, კორპუსი მე-3, სართული მე-8.

ტელეფონი: 96-43-71.



უცხოური ავტომობილების მფლობელთა საყურადღებოდ

Castrol

Castrol-ის
ოფიციალური და ექსკლუზიური დისტრიბიუტერი საქართველოში
ფირმა „აკა"
საშუალებას აძლევს ყველა ავტომფლობელს დარწმუნდეს, უმაღლესი ხარისხის საცხები პროდუქტი GTX3-ის უნიკალურ თვისებებში.

GTX3 - იდეალური ზეთია ბენზინის, დიზელის და ტურბო-დიზელის ძრავებისათვის
GTX3 - ექსპლუატაციის ექსტრემალურ პირობებში საიმედოდ დაიცავს თქვენი ავტომობილის ძრავას ცვეთისაგან
GTX3 - შეიცავს უახლეს კომპონენტებს რომლებიც მკვეთრად შეამცირებენ სიმძლავრის დანაკარგებს, რაც გაზრდის თქვენი ავტომობილის ეკონომიურობას
GTX3 - აკმაყოფილებს და აჭარბებს მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლების უმკაცრესს ნორმებს საცხებ მასალებზე

ამა წლის 15 სექტემბრიდან ორი კვირის განმავლობაში ჩვენ ვვაჭრობთ 12%-იანი ფასდაკლებით, იჩქარეთ!

გელით ყოველდღე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 ტელეფონი: 39-70-67, ფაქსი 29-28-76
Castrol-ი და სხვა არაფერი!

ინფორმაცია

თბილისი. 21 სექტემბერს მოგვაწოდეს საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს განცხადება, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: -

1993 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ-ში). ამავე ხალხის, საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას მან დაადასტურა თავისი ამგვარი პოზიცია.

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო პარლამენტის სპიკერის ამ პოლიტიკურ განცხადებას მიიჩნევს სახელმწიფო ინტერესების საზიანო ქმედებად და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ გადადგომას დაკავებული თანამდებობიდან.

დსთ-ში შესვლა ჩვენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში რუსეთის სამხედრო ჩარევის თავიდან აცილების არათუ უგარანტიო, არამედ მისთვის ხელების გახსნისა და უფრო ფართომასშტაბიანი ჩარევისათვის ხელშემწყობი საშუალება რომ იქნება, ნათლად ჩანს. დსთ-ს წევრი სახელმწიფოების — მოლდოვასა და ტაჯიკეთის მაგალითიდან.

საქართველოს სახალხო ფრონტი მომხრეა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა, რაც მასთან თანასწორუფლებიანი, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ნებისმიერი ფორმით ჩარევის გამომრიცხავი ხელშეკრულების დადებით და მისი განუხრელი შესრულებით უნდა განხორციელდეს.

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო გადაჭრით გმობს დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების იდეის შემომტანების პოლიტიკას, რომელიც ბ-ნ ვახტანგ გოგუაძის განცხადებით დაიწყო და რაც ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრის პოლიტიკაა.

გალი. 22. გალის რაიონის სამხედრო შტაბის უფროსმა ანზორ კუჭუაშვილმა გვაცნობა, რომ რაიონში მიმდინარეობს ქართველ ქალთა მშვიდობიანი მანიფესტაციის მზადების აქცია.

სოხუმი. 22. ჩვენთვის ცნობილი გახდა იმ დაღუპულ ქართველ მგზავრთა გვარები, რომლებიც გუშინ აფხაზთა მხარის მიერ სოხუმის აეროპორტიდან აფეთქებულ თვითმფრინავში დაიღუპნენ: სვეტლანა დადეთაია, მერაბ ჯუხია, რუსუდან და ნინო წოწორიები, ინგა გვახალია, გულადი და ვანადი გაჯაჩიანები.

თბილისი. 22. სოხუმიდან გამოყვანილი დაჭრილები ძირითადად დედაქალაქის რესპუბლიკურ ჰოსპიტალსა და № 1 კლინიკურ საავადმყოფოში ათავსებენ. დღისდღეობით დაჭრილთა რაოდენობა ქ. თბილისში 817 კაცს შეადგენს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც აღნიშნავს, რომ ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული მედიკამენტები, ჯერჯერობით, საკმარისია. ყველაზე მეტად ჭირს დაჭრილთა კვება. მართალია, თბილისის მერიაში არსებობს შემოწირულობათა ფონდი და აქ შემოსული პროდუქტების ნაწილი საავადმყოფოებს გადაეცემა, მაგრამ ეს მეტად მცირეა. მერიის კულტურის სამმართველომ გამოიჩინა ინიციატივა და დამზადებული სადილები მიაქვთ დაჭრილთა გარკვეული ნაწილისათვის. იმედია, დაჭრილების საკვებით მომარაგებას სხვა სამსახურებიც ითავებენ.

თბილისი. 22. დღეს დილის 6.22 სთ-ზე რესპუბლიკის მოედანზე თავი მოიყარეს სოხუმში ჩასატარებელი სამშვიდობო აქციის მონაწილე ქალებმა. შემდეგ ისინი რკინიგზის სადგურისაკენ გაემართნენ. გზადაგზა, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მათ შეუერთდებიან აქციაში მონაწილეობის მსურველები. მათ გზა დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ.

თბილისი. 22. საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისში“ მზადდება აფხაზეთში გასაგზავნად ჰუმანიტარული დახმარების ახალი პარტია, რომელიც შედგება კვების პროდუქტების, თბილი ტანსაცმლის, იარაღის და ფულადი დანაზოგისაგან.

თბილისი. 22. პურ-პროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პურ-ფუნთუშეულის გაყიდვისა და ინფორმაციის ცენტრმა, რომელიც ახორციელებს ქ. თბილისის პურ-პროდუქტებით მომარაგება-განაწილებას, გადაწყვიტა იზრუნოს ჯარისკაცებისა და ქალაქ სოხუმის პურით მომარაგებაზე. ეს იქნება ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ეს ცენტრი განახორციელებს საკუთარი დანაზოგიდან. 21 სექტემბრიდან თბილისის აეროპორტში, სამხედრო კომენდატურასთან ერთად, ყოველდღე მორიგეობს დედაქალაქის ერთი პურის ქარხანა.

იბერიის ბანკი

ბიზნეს-კურიერი

„ბიზნეს-კურიერი“ სჭირდება ყველას,
ვისაც ჯიბეში ფული აქვს და
იმასაც, ვისაც ახლა არა აქვს,
მაგრამ მომავალში აპირებს შოვნას.
„ბიზნეს-კურიერი“ არა მარტო
მეწარმეთა და ბიზნესმენთა გაზეთია,
არამედ ყველა თქვენგანისაც.
შეიძინეთ გაზეთი „ბიზნეს-კურიერი“!

საშუამავლო კომერციული ფირმა
„რენესანსი“

დაგეხმარებათ, ინტერიერის კომფორტულად
მოწყობაში. იმპორტული ავეჯის,
რადიო-ტელეაპარატურის და სხვა საჭირო
ნივთების შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურების
გარანტს იძლევა.

ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. №1.
ტელეფონი: 93-52-63, 23-58-55.

იყიდება

მიქსერი კამაზი, „მაზ“ თვითმცლელი „კრაზ“ 1990 წლის, აგპ-ზილ 131 ბაზაზე, ზილ თვითმცლელები 90, 91 წლების. გრეიდერი „დზ“-122ა, ასფალტის დაზგები, ბაბკა, ბელაზი 42 ტონიანი ახალი, ექსკავატორი 4111, დიზელის გენერატორი 200 კვტ. დიზელის გენერატორი 100 კვტ. საბურღი დანადგარები ყველა მარკის პერფერატორები, სამტვრევი ჩაქუჩი, პიკები, წყლის საქაჩი ტუმბოები ეცვ-12, მტვერსასრუტი „სანიო“, საკერავი მანქანა „ტოიოტა“, დიზელის გენერატორი 75 კვტ. კალორიფერი, სამონტაჟო პისტოლეტი „პც-51“, პობედიტი.

ფირმა „დელტა“
ტელ. 29-15-94

ვყიდი

ავტომანქანა „ოპელ ომეგას“ სერია 3000, წითელი
ფერის 3 წლის ნადგომი,
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 93-52-63 დღის საათებში, 23-58-55 საღამოს.

იყიდება

ჩეხური სტენკა შეფუთული და
ავტომანქანა იაპონური „მაზდა“,
რომელიც 100 კმ-ზე ხარჯავს 6 ლ. ბენზინს.

ტელ: 37-22-52

საქართველოს
იპოთეკური ბანკი
გთავაზობთ შემდეგი სახის საბანკო
მომსახურებას:

1. მოსახლეობისაგან ანაბრებზე თანხების მიღებას ნაღდი ანგარიშსწორებით ერთი წლის ვადით – 200 %;
2. ორგანიზაციების დეპოზიტზე თანხების მიღებას ერთი წლის ვადით – 200%;
3. სავალუტო ანაბრების მიღებას (ამერიკული დოლარი) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით ექვსი თვით წლიური – 120%;
4. თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში სესხების გაცემას.
5. აწარმოებს აშშ დოლარების და სხვა ვალუტის ყიდვა-გაყიდვას.

ბანკის მისამართია: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 16,
მე-9 სართული, ოთახი 915, 916,
ტელეფონი: 37-94-58, 37-96-65, 30-37-59

გაზის მოწოდება შემცირდა

21 სექტემბრის საღამოდან ბუნებრივი გაზის მოწოდება საქართველოში საგრძნობლად შემცირდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ უზბეკეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს თურქმენეთიდან ჩვენს რესპუბლიკაში მომავალი გაზსადენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. ამ სამუშაოთა დამთავრების ვადები, ჯერჯერობით უცნობია.

ჭადრაკი

ლონდონში „ტაიმსის“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მეშვიდე პარტიაში გარი კასპაროვმა თეთრი ფიგურებით 36-ე სვლაზე მოუგო ინგლისელ ნაიჯელ შორტს და თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა — 5,5:1,5.

ფეხბურთი

საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილებით მარსელის „ოლიმპიკს“ მეტოქის მოსყიდვის სკანდალთან დაკავშირებით ჩამოერთვა ქვეყნის 1992-1993 წლების ჩემპიონის წოდება.

კლუბ „ვალანსიენისათვის“ ფულის მიმცემ მოთამაშეებს კრისტოფ რობერს, ხორხე ბურუჩაგასა და ჟან-ჟაკ ეიდელის ემუქრებათ დისკვალიფიკაცია ეროვნულ და, შესაძლოა, საერთაშორისო დონეზე.

რომენი

ჩოგბურთი

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი 375000-დოლარიანი საპრიზო ფონდით.

სტარტზევე გამოეთიშა ასპარეზობას მეხუთე ნომრად განთესილი ბულგარელი კატერინა მალეევა, რომელიც ამერიკელ ემი ფრეიზერთან დამარცხდა — 1:6, 4:6.

გთავაზობთ პირველი ეტაპის ზოგიერთი სხვა შეხვედრის შედეგს: ლინდსეი დავენპორტი (აშშ) — მანა ენდო (იაპონია) — 6:4, 5:7, 7:5, ალექსანდრა ფუსაი (საფრანგეთი) — იონა კამიო (იაპონია) — 6:2, 6:2, აი სუგიამა (იაპონია) — ლინდა ჰარვი-უაილდი (აშშ) — 6:3, 2:6, 6:3, ამანდა კოეტცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — ლიზა რაიმონდი (აშშ) — 6:2, 6:4.

ოლიმპიადა — 2000

დღეს მონტე-კარლოში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია გამოავლენს 2000 წლის საზაფხულო ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს. ლონდონელი ბუკმეიკერების რეიტინგის მიხედვით პრეტენდენტთა თანამიმდევრობა ასეთი გახლავთ: პეკინი, სიდნეი, მანჩესტერი, ბერლინი და სტამბოლი.

ღვთისმშობლობა იმედისა და რწმენის დღეა

ქუთაისი, 21 სექტემბერი, (საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე). ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღე საზეიმო პარაკლისით აღნიშნა გელათში.

აქ, მეფეთ მეფის დავით აღმაშენებლის საძვალესთან დილაადრიან შეიკრიბა მრავალრიცხოვანი მრევლი ქუთაისიდან, თბილისიდან, უწინარეს ყოვლისა კი თვით სოფელ გელათიდან. ღვთისმშობლობა ქართველთა უდიდესი დღესასწაულია ოდითგან, წმინდა მარიამის ხატება, მისი კალთის ძალმოსილება საუკუნეების მანძილზე ასულდგმულებდა ჩვენს წინაპრებს. სწორედ იმედის ეს ნათელი სხივი გასდევდა ლოცვა-ტრადიციად ქუთაისში დავით აღმაშენებლის პროსპექტის საზეიმო გახსნას, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შედგა. აქ გამართულ მიტინგზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ტრაგიზმით აღსავსე დღეების ფონზე ეს ახალმშენებლობა ქვეყნისა და ქართველთა გაერთიანებისა და აღმშენებლობის სიმბოლოა.

დიდი წინაპრის სახელობის პროსპექტი, რომლის სიგრძე ერთი კილომეტრია, უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ქალაქის ცენტრს დასავლეთ საქართველოს რეგიონებისაკენ მიმავალ რესპუბლიკურ მაგისტრალს. ახალი პროსპექტი აკურთხა ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა კალისტრატემ.

ვიდრე ზამთრამდე, აცივდება...

ქარელის რაიონის სოფელ ავნევის შესახებ ყველას სმენია. 1991 წლის აპრილის ძლიერმა მიწისძვრამ და სამაჩაბლოში ატეხილმა ომმა თავისი მსახვრალი ხელი დაამჩნია სოფელს. დღემდე აშენებენ მიწისძვრით დანგრეულ სახლებს, დღესაც „ამშვენებს“ სოფლის სკოლას ოსი ექსტრემისტების „ავტოგრაფი“ ავტომატის ჯერით ერთიანად დაცხრილული კედლები.

.... დაზიანებულ-დანგრეული სკოლიდან ბავშვები იძულებით სასწრაფოდ ჩადგმულ ვაგონებში გადაიყვანეს, მშენებლები შენობის გამაგრებას, აღდგენით სამუშაოებს შეუდგნენ.

სამშენებლო-საპროექტო ფირმა „ქართლის“ (დირექტორი ვ. ლონგუზაშვილი) კოლექტივმა ჩინებულად იშრომა. ორსართულიანი სკოლის შენობა ერთიანად ლითონის „არტახებით“ შეკრეს, საძირკველი გაამაგრეს, კედელ-ტიხრები ამოაშენეს, მომდევნო წელს კი მშენებლობაზე მანეთის სამუშაოც არ შესრულებულა, რადგან სამისო თანხები არ გამოუყვიათ.

მაშინ კი ჩაიცვა რკინის ქალამნები სკოლის დირექტორმა თამარ ცერაძემ და ზემდგომ ორგანოებს მიაშურა. დაობდა, კამათობდა, არწმუნებდა, შესთხოვდა, თუმცა მშვენივრად უწყოდა, რა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო ქვეყანა.

სკოლის მშენებლობა მხოლოდ წლეულს, ივლისში დააფინანსეს და „ქართლმაც“ არ დააყოვნა — ფირმის თავკაცები ავნევში ამოვიდნენ.

— მზად ვართ წლის ბოლომდე სკოლის მეორე სართულის სამშენებლო სამუშაოები შევასრულოთ, — თქვა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან შეხვედრაზე ფირმის დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლონგუზაშვილმა, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე საკლასო ოთახი პირველ სახეს დაიბრუნებს — დავაგებთ იატაკს, დავტიხრავთ ოთახებს, ჩავსვამთ კარ-ფანჯრებს, ამოვაშენებთ კედლებს, წესრიგში მოვიყვანთ ელექტროგაყვანილობას.

ეს საშური საქმეა, რადგან ბავშვები მესამე წელია ვაგონებში არიან შეხიზნული. ვაგონებში კი წყალი ჩამოდის, კედლები სველდება, სიბნელეა და სივიწროვეა.

საცაა ზამთარი კარს მოადგება, შეშა კი ჯერ არავის შემოუტანია სკოლისათვის. სოფლის თავკაცები — სასოფლო საბჭოს (აქ ძველებურად საბჭოურად აზროვნებენ!) თავმჯდომარეს ვ. ჭილოლაძესა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარეს შ. ჯავახიშვილს არ ეტყობათ, რომ აღელვებდეთ პატარების ბედი. სკოლაში დამკვიდრებული შარშანდელი პრაქტიკის იმედი აქვთ, როცა ყოველ მოსწავლეს თავად მიჰქონდა სკოლაში თავისი წილი ნაჭერი შეშა.

ასეთ თვითმომსახურებას ბოლო უნდა მოეღოს, პატარებზე ასეთ „მზრუნველობას“ წერტილი უნდა დაესვას.

ზურაბ ვაშაკიძე.

წიგნის თარო

ახალი სახელმძღვანელო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, აგრეთვე სხვა სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების სტომატოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტმა **ოთარ ტრაპაიძემ** პირველმა საქართველოში შეადგინა სტომატოლოგიურ ავადმყოფობათა პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელო. დასახელებული სახელმძღვანელო შეიცავს სასწავლო პროცესის ლოგიკური გრაფით გათვალისწინებული თანამიმდევრობით დაწერილ თავებს. თითოეული თავი განკუთვნილია პირის ღრუს ორგანოების ცალკეული ავადმყოფობისათვის და მასში აღწერილია თითოეული სნეულებისათვის დამახასიათებელი მაკრომორფოლოგიური თავისებურებანი, ჰისტოლოგიური, ჰისტოქიმიური და ულტრასტრუქტურული ცვლილებები. ამასთან, როგორც მაკრო, ისე მოხსენებული მიკროსკოპული ცვლილებები წარმოდგენილია დინამიკაში — ინიციალური ფაზებიდან დამთავრებამდე. თითოეული ავადმყოფობის პათოლოგიურ ანატომიასთან ახლავს პათოგენეზის და პათოლოგიის მიმდინარეობაში განვითარებულ მიზეზშედეგობრივ პროცესთა დაწვრილებითი აღწერა.

ყოველივე ზემოხსენებული წარმოდგენილია მეცნიერების თანამედროვე დონეზე და ილუსტრირებულია მაკრო და მიკროფოტოგრაფებით. საქართველოს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტომატოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებს დღემდე ასეთი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ ჰქონიათ. სახელმძღვანელო გამოცემულია „განათლების“ მიერ. შეიცავს 87 გვერდს.

პროფესორები
ალექსანდრე ბრეგვაძე,
რევაზ კაპანაძე.

კრიმინალური ქრონიკა

● **შინაგან** საქმეთა სამმართველოში დარეკა უცნობმა მოქალაქემ. მან თქვა, რომ რუსთაველის გამზირიდან ავტომატებით შეიარაღებულმა ხუთმა დაუდგენელმა პირმა იარაღის მუქარით გაიტაცა გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაღლაში მცხოვრები ამავე სოფლის გამგებელი ჯუსეინ ხანდარ-ოღლი ბაირამოვი და მისი ავტომანქანა ვაზ-2106.

● **შინაგან** საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მუშაკებმა მარნეულის რაიონის სოფელ ქიჩარმოვანლოში დააკავეს ამავე სოფლის მცხოვრები ხანალი მამედოვი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახის რაიონის მცხოვრები რაგი ხამბაბაევი. ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული ერთი კილოგრამი ოპიუმი. მიმდინარეობს ღონისძიებები დანაშაულის დანარჩენი მონაწილეების დასაკავებლად.

როცა სხვა გზა არ არის

როგორც ცნობილია, 20 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. დაგვიანებულიაო, ამბობენ ზოგნი. რაღა დროსია, უარეს ქაოსში გადაეშვება ქვეყანაო, ეჭვობენ სხვანი. მთავარი მაინც ის არის, რომ ერმა შეიტყო თავისი ავადმყოფობის შესახებ, მიხვდა, რომ ეს ავადმყოფობა სასიკვდილოა და თუ დროულად არ მიხედავს თავს, დაიღუპება. ახლა ის შეეჭიდება დაუნდობელ სენს და, იმედია, მოერევა კიდეც. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა, სხვა ხსნა არცა აქვს...

ისიც დამაიმედებელია, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში პოლიცია მარტო აღარ არის, მასთანაა ხალხი, მასთან ცდილობს ყოფნას თავდაცვის სამინისტრო, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური... მთლიანად სახელმწიფო, თავისი ჯერჯერობით სუსტი, მაგრამ მაინც მოქმედი პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი მექანიზმებით.

ქვეყანაში იარაღის დიქტატურაა,
პარპაშებს დანაშაულებრივი ბიზნესი,
დათარეშობენ ეშმაკის ჭიპს მოწყვეტილი დამნაშავე ელემენტები — ყაჩაღური ბანდები, მკვლელები, მძარცველები... შეიძლება ვერ გაუთვითცნობიერებიათ, მაგრამ, სწორედ ეს ხალხი წარმოადგენს ხილული თუ უხილავი მტრის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის მოსურნეთა შტატგარეშე აგენტებს.

ქვეყნის ისედაც ძლივს მსუნთქავ ორგანიზმს ბოლოს უღებს, ფიტავს და ანადგურებს ნარკომანია და ნარკობიზნესი.

თბილისელებმა თქვეს, ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო და გადაწყვიტეს საკუთარ ქალაქში თვითონ დაიცვან წესრიგი, საკუთარი ოჯახების უსაფრთხოება.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, თვლის პატივაყრილი და ღირსებაშელახული პოლიცია. მას ხომ გასულ რვა თვეში 63 პოლიციელი მოუკლეს, 200 კიდევ დაუჭრეს.

სულ ცოტა ხნის წინათ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში წესრიგისა და კანონიერების აღდგენა საზოგადოების დიდ ნაწილს მხოლოდ პოლიციის საქმე ეგონა. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს ყველას საქმეა. ჯერ საკუთარ თავში, ოჯახში, წარმოებაში, სამსახურში უნდა დაამყარონ ადამიანებმა წესრიგი, მერე ქალაქში, მერე კიდევ მთელ ქვეყანაში... ცარიელმა სიტყვებმა და ლოზუნგებმა თქვენი პირი უნდა წაიღოს. საქმით დაღლილი კაცი სალაპარაკოდ და ფუჭსიტყვაობისათვის ისედაც ძნელად მოიცლის.

• • •

თბილისში შემოსასვლელ გზატკეცილებზე, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები. რა შედეგი მოაქვს თქვენს საგანგებო მდგომარეობასო, იკითხავენ გამოუსწორებელი პესიმისტები. რა თქმა უნდა, შედეგები, ჯერჯერობით, მოკრძალებულია, მაგრამ იმედისმომცემი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა რიცხვი წინა კვირაში იმისწინა კვირებთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა. როგორც ექსპერტები თვლიან, ეს პროცესი არ შეიძლება უკუქცევადი იყოს, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. საქმე ის არის, რომ საგანგებო წესებისა და პოლიციის აქტიურობის პირობებში ცოტა დაფრთხა დამნაშავეთა სამყარო.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ახლა კრიმინალური ელემენტები, მოსალოდნელია, ძალას მოიკრებენ, შეცვლიან მოქმედების ფორმას, მეთოდებს და ისევ შემოუტევენ. ამდენად, პოლიციის ვალია სიტუაციის მიხედვით კი არ იმოქმედოს მხოლოდ, წინასწარ განჭვრიტოს განსაჭვრეტი, ყოველგვარ მოულოდნელობას სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დახვდეს.

როგორ შეიძლება გულგრილი დარჩე ახალგორის რაიონის პოლიციის საგუშაგოსთან დატრიალებული ტრაგედიის გამო.

დუშეთისა და ახალგორის პოლიციის თანამშრომლები რეიდს ატარებდნენ. ამ დროს შორიახლოს გაჩერდა ავტომანქანა „რენო“, რომლიდანაც ხელყუმბარებითა და ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები გადმოვიდნენ და სროლა აუტეხეს პოლიციელებს. პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ზაზა ჰუმბურიძე და ლეიტენანტი ჯიმშერ ზანგურაშვილი დაიღუპნენ, ერთი თანამშრომელი ბიჭიკო თეთრაშვილი კი დაიჭრა. საპასუხო სროლის შედეგად ბოროტმოქმედთა მთელი ჯგუფი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. ამოღებულია ორი ავტომატი და ხელყუმბარები.

13 სექტემბერს დააკავეს ყაჩაღები, რომლებმაც „გათქვეს“ ფულის გამოძალვის მიზნით 19 წლის თენგიზ ჯამბადარის გატაცების ოპერაცია. მათ გატაცებული წყნეთში უნდა გადაემალათ, სადაც ჯგუფის დანარჩენი წევრები ელოდნენ. პოლიციის ოპერჯგუფს წყნეთში ყაჩაღებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. სხვა გზა არ იყო და ერთი ყაჩაღი გია ბლიაძე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, დანარჩენები დაკავებული არიან. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ერთი ავტომატი, ერთი რევოლვერი და ხელყუმბარები.

ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი წამალი კუჭის კვირაკები, რომელსაც თბილისის ფარმაცევტული ქარხანა უკვე 35 წელია აღარ ამზადებს, თბილისელი რეალიზატორის ირინა აბშილავას ხელში მოხვდა. თითქმის სამი კილოგრამი აბები მას ვინმე ანდრეევმა უბოძა (ანდრეევი ადრე ხსენებულ ქარხანაში მუშაობდა და ახლა იძებნება), იგი საკუთარი „ტექნოლოგიით“ ამზადებდა „ოპიუმს“, უბრალოდ რომ ვთქვათ, თაღლითობდა, ატყუებდა მომხმარებელს.

ყაზბეგის თორმეტში მცხოვრებ აბშილავას ბინიდან ამოღებულია 800 გრამი კვირაკები და 1700 გრამი ფხვნილი (100 გრამი 10 ათას მანეთად იყიდებოდა).

პროკურორმა გასცა სანქცია და ირინა აბშილავა დააპატიმრეს.

• • •

ამრიგად, საათი ჩაირთო.

საგანგებო წესების განხორციელების წარმატებაზეა დამოკიდებული სწორედ ჩვენი სახელმწიფოს ბედი და მომავალი.

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

იოსებ ჩოდრიშვილი

92 წლისა გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი იოსებ ივანეს ძე ჩოდრიშვილი.

ბატონმა იოსებმა 1930 წლიდან სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაუკავშირა თავისი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ბუნებას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე პატიოსნად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა.

პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა იოსებ ჩოდრიშვილს „მწვანე განძის დიდოსტატი“ უწოდა. მართლაც, რომ დიდოსტატი უნდა იყოს კაცი, რომელმაც ხორცი შეასხა ჩანაფიქრს, მწვანით შემოსა თბილისისა და რესპუბლიკის რიგი დასახლებული პუნქტების, ძირითადად ხრიოკი შემოგარენი.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში (1954-1970 წლები) მისი ინიციატივით გაშენებული იქნა მალთაყვის, ექადიის, ამირანის გორის, კრწანისის და სხვა ლანდშაფტური პარკები. დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში დაცვითი ტყის ზოლების გაშენებისა და ეროზირებული ფართობების გატყევების საქმეში. და მაინც ბატონ იოსების შრომის გვირგვინად თბილისის უნიკალური დენდროლოგიური პარკი უნდა ჩაითვალოს თბილისის ზღვასთან.

ამასთან ერთად იგი სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა, იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი.

ბატონ იოსებს თავისი სპეტაკი სულის ნაწილი გადაჰქონდა საბავშვო ლექსებში. იყო რამდენიმე საბავშვო ლექსების კრებულის ავტორი.

ბატონ იოსების მთელი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს კაცი თავის ქვეყანასა და მის ბუნებას.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი; სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი.

ალექსანდრე იოსელიანი

კიდევ ერთი შესანიშნავი ვაჟკაცი შეიწირა ომმა. აფხაზეთში, გუმისთის ნაპირას გმირულად დაეცა ქართული თეატრისა და კინოს შესანიშნავი მსახიობი **ალექსანდრე (საშა) იოსელიანი.**

მხოლოდ ორმოციოდე წელი იცოცხლა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან დაიმსახურა კაცური კაცის სახელი, იყო კეთილი, ხალასი, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი, ჭეშმარიტი ქართველი.

1970 წელს, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე. ერთი სეზონი მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში იმუშავა, სადაც ამ თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლში — დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ — ბეგლარ ჯინჭარაძის პლასტიკური სახიერებითა და ელეგანტურობით გამორჩეული სახე შექმნა. 1974 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. ამავე წელს შედგა მისი დებიუტი ლაშა თაბუკაშვილის „ჭრილობაში“, სადაც გია აბაშიძის რომანტიკული, ადამიანური სიკეთით აღსავსე სახე შექმნა. საშა იოსელიანის მიერ ამავე თეატრში განსახიერებული ორი გმირი — სისო (ოტია იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“) და მფრინავი სალარა (გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“) ბოროტებასთან ბრძოლაში დაიღუპა, სიმართლის დაცვას შეეწირა. ამ გმირთა თვისებები თვით საშას ბუნებას ემთხვეოდა — ისიც ხომ ბოროტებას ებრძოდა, იცავდა სიმართლეს, სამართლიანობას...

ფილმ „დათა თუთაშხიაში“ მრავალი საინტერესო სახე შეიქმნა, მათ შორის გამორჩეულია საშა იოსელიანის მიერ შესრულებული ეპიზოდი.

როცა სამშობლოს გაუჭირდა, ტელეჟურნალისტთა რიგში ჩადგა, ტელეკამერითა და იარაღით იბრძოდა საქართველოს დასაცავად. მიუხედავად ამისა, საშას სპექტაკლი არ გაუცდენია, სარეპერტუარო განრიგი მის გამო არცერთხელ არ შეცვლილა. შიდა ქართლიდან იყო თუ აფხაზეთიდან, ჩამოდიოდა, თამაშობდა თავის როლს და უკან ბრუნდებოდა. არასოდეს სიტყვამრავლობდა. თავდაჭერილი იყო, მოკრძალებული. რასაც აკეთებდა ცხოვრების ნორმად მიაჩნდა. თავდაუზოგავად, კაცურად, გმირულად შრომობდა. გამუდმებით გადმოგვცემდა ამბებს ცხელი წერტილებიდან. საუკეთესო მაგალითს აძლევდა თავის გიორგისა და ნინოს, რომლებმაც მუდამ უნდა იამაყონ მამის ჭეშმარიტი გმირობით.

საშას გამოჩენა ნათელს ჰფენდა ირგვლივ მყოფთ. არავის აყვედრიდა იმ წმინდა საქმეს, რასაც უდიდესი სიყვარულით და ერთგულებით, მთელი არსებით ემსახურებოდა. არავის დაუნახავს იგი ქალაქის ქუჩებში იარაღით. ისე შრომობდა და იბრძოდა, როგორც სწამდა. სწამდა მხოლოდ ერთი ღმერთი — საქართველო, მისი მთლიანობა, ხელშეუხებლობა, მისი ბედნიერი მომავალი. სწორედ ამას შესწირა საკუთარი სიცოცხლეც. დააკლდა ერს, დედაქალაქს, მის ლამაზ ოჯახს, თეატრს, თითოეულ ჩვენგანს და სამუდამო ჭრილობა დაგვიტოვა გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

იური მაისურაძე

კიდევ ერთი სახელოვანი შვილი დაკარგა საქართველომ. სოფელ თავისუფლებასთან შეწყდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის გულისძგერა.

იური მაისურაძე დაიბადა 1963 წლის 12 მაისს ქ. ნიკოლაევში. წარჩინებით დაამთავრა კიევის სუვოროვის სახელობის სამხედრო სასწავლებელი, შემდეგ კიევის ფრუნზეს სახელობის უმაღლესი საერთო საჯარისო სამეთაურო სასწავლებელი, 1993 წელს — ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია.

ი. მაისურაძემ აკადემიის დამთავრებისთანავე სამშობლოს მოაშურა, რათა მთელი თავისი ცოდნა და ახალგაზრდული ენერგია მშობლიური ქვეყნისათვის მოეხმარებინა. საუბედუროდ, აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დაქირავებულების მიერ ნასროლმა ტყვიამ შეწყვიტა 30 წლის ვიცე-პოლკოვნიკის სიცოცხლე.

ახალგაზრდა ქართულ არმიას იური მაისურაძის სახით გამოაკლდა საუკეთესო სპეციალისტი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა სამხედრო საქმეს, უცხო ენებს, მათ შორის ჩინურს.

იყო თავმდაბალი, ერთგული მეგობარი, სახელოვანი შვილი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

იური მაისურაძის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის

ალექსანდრე (საშა) იოსელიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი, მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 25.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა 06484